ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

F 171
1964

**2**

თებერვალი

თბილისი—1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის ერთობლივი დადგენილება „სასოფლო რაიონებში“ ექიმებისა და მასწავლებლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 452 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე 3
2. ბრძანება № 17—ლანჩხუთის რაიონის სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . 8
3. ბრძანება № 18—აჭარის ასს რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საწარმოო სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 ივლისის № 470 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 16
4. ბრძანება № 25—ყვარლისა და გარდაბნის რაიონებში საყოველთაო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ . 29
5. ბრძანება № 26—ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიან სკოლებში ქიმიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . 31
6. ბრძანება № 28—სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 29 მაისის № 435 ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . 37
7. ბრძანება № 36—ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 40
8. ბრძანება № 37—მაიაკოვსკისა და საჩხერის სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 43
9. ბრძანება № 38—1962—1963 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 61
10. ბრძანება № 45—ქ. ქ. ბორჯომის, კასპისა და მარნეულის სამრეწველო ზონის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . 69
11. ბრძანება № 62—სკოლამდელ დაწესებულებებში სახელმძღვანელოს—„აღზრდის პროგრამა საბავშვო ბაღისათვის“ შემოღებისა და შესწავლის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 72
12. ბრძანება № 76—მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1963 წლის შედეგებისა და 1964 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 74



რედაქტორი უშ. ობოლაძე

კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/III-64 წელი. ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5,5

ფასი 10 კაპ.

შეკვ. 136. ტ. 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.

Типография Министерства просвещения Грузинской ССР. Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საძიებელი

## 1963 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში მოთავსებული მასალებისა

### კრებული № 1

1. ბრძანება № 47—ქ. ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და საწარმოო სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 46—სამტრედიისა და ცხაკაიას რაიონების საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 17
3. ბრძანება № 45—პიონერ-მოსწავლეთა შორის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . 23
4. დადგენილება რესპუბლიკის სკოლებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შესახებ . . . . . 29
5. მეთოდური მითითებანი წერითი მუშაობის სახეების რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში . . . . . . . . . . . . . . . 36
6. ბრძანება № 43—რვაწლიანი და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებზე გასაცემი დოკუმენტების ახალი ნიმუშების შემოღების შესახებ . . . . . 53
7. Приказ № 43—О введении новых образцов документов, выдаваемых окончившим восьмилетние и средние общеобразовательные школы . . . . . . . . . . . . . . . . 60

### კრებული № 2

1. ბრძანება № 65—ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 66—წულუკიძის, გორდისა და საგურამოს სკოლა-ინტერნატებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . 8
3. ბრძანება № 67—თელავისა და ყვარლის რაიონების საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . 14
4. ბრძანება № 75—საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი

I-1811

სწავლების კანონის შესრულების მდგომარეობისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . 16

5. დადგენილება № 4/9—საქართველოს სსრ სკოლების მოსწავლეთა შორის სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 22

6. ბრძანება № 101—სიღნაღის რაიონის სკოლებში საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . 31

7. ბრძანება № 102—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ 1962 წლის განმავლობაში . . 36

8. ბრძანება № 104—1961—1962 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ . . . . . . . . . 39

9. ბრძანება № 155—ლენინგორის, სამტრედიის, ბორჯომის, ახმეტის, ქ. თბილისის კალინინისა და ორჯონიკიძის რაიონებში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . 45

10. ბრძანება № 156—სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . 48

11. დადგენილება—ქ. თბილისის სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლში მოსწავლეთა თვითმომსახურების ორგანიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ . 52

12. ბრძანება № 164—საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . 56

## კრებული № 3

ბილეთები კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდებისათვის (1962—1963 სასწავლო წელი)

## კრებული № 4—5

1. ბრძანება № 352—„საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში“. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1963 წლის 27 აპრილის დადგენილება და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1963 წლის 8 მაისს მიღებული ბრძანება ამ დადგენილების გამო . . . 3

2. ბრძანება № 280—ახალციხისა და ხაშურის რაიონების საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ენისა და ლეტერატურის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 16
3. მოხსენებითი ბარათი ახალციხისა და ხაშურის რაიონების სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 18
4. დადგენილება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1962 წლის შედეგებისა და 1963 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . 30
5. ბრძანება № 288 – ქ. თბილისის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . 42
6. მოხსენებითი ბარათი ქ. თბილისის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 44
7. ბრძანება № 333—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლების სასწავლო კინოთი მომსახურების საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . 78
8. ბრძანება № 221—ქვემო ალვანის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებლის მ. მურთაზაშვილის არაპედაგოგიური მოქმედების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 85
9. დებულება—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სათამაშოთა მუზეუმისა . . . . . . . . . 86

## კრებული № 6

1. ბრძანება № 361—ახალციხის, საჩხერის, ზუგდიდის, ქ. თბილისის 26 კომისრისა და ოქტომბრის რაიონებში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 382—ზესტაფონის და მახარაძის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 6
3. ბრძანება № 389—ვ. და თ. კაკოიშვილების მამხილებელი წერილის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . 12
4. ინსტრუქცია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომით პოლიტექნიკურ საწარმოოსწავლებიან სკოლებში გამოსაშვები საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესის შესახებ . . 15
5. Инструкция о порядке проведения выпускных квалификационных испытаный в средних общеобразовательных трудовых политехнических школах с производственным обучением . 23

6. დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 31
7. განმარტებითი ბარათი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის სასწავლო გეგმებისათვის . . . . . . . . 39
8. განმარტებითი ბარათი ხელწერითი სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის პროგრამისათვის . . . . . . . . . . . . 42
9. დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლის მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის შესახებ სტენოგრაფიასა და მანქანაზე წერაში . . . . . . . . . . . . . . . 58
10. ინსტრუქცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკურ სკოლაში გამოსაშვები გამოცდების შესახებ . . . . . . . . . 61
11. ინსტრუქცია გამოცდების ექსტერნად ჩაბარების შესახებ . 73
12. Инструкция о проведении экзаменов для экстернов . . . 80

## კრებული № 7

1. ბრძანება № 411—ტუბერკულოზის მცირე და ყუჩებადი ფორმებიანი ბავშვებისათვის სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა მოწყობის შესახებ . . . . . . . 3
2. ბრძანება № 412—ქ. ქ. ზუგდიდის, ჭიათურის და გარდაბნის რაიონის საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 5
3. ბრძანება № 413—ქ. თბილისის სკოლამდელ დაწესებულებებში უცხო ენების სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ. 9
4. ბრძანება № 435—სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის 27 აგვისტოს № 762 და 1963 წლის 30/I № 72 ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ . . . 11
5. ბრძანება № 436—საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი სკოლების IX-XI კლასების იმ მოსწავლეთა შესახებ, რომლებიც სამედიცინო კომისიის მიერ განთავისუფლებულნი არიან მძიმე ფიზიკური შრომისაგან . . . . . . . . . . 14
6. Приказ № 436—о тех учащихся IX-XI классов средних общеобразовательных, трудовых политехнических школ с производственным обучением, которые освобождены от физического труда . . . . . . . . . . . 16

7. ბრძანება № 438—გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1963 წლის 18 მაისის № 115-ში გამოქვეყნებული წერილის „გაქცევა უხი[illegible]-თა ტყვეობიდან“ შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 18
8. ბრძანება № 492—დუშეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების, პედაგოგიური კაბინეტისა და ზოგიერთი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 21
9. ბრძანება № 496—1963 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვთა დასვენების ორგანიზაციის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 31
10. ინსტრუქცია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, რვაწლიანი, საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების კურსდამთავრებულთა საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაწლიანი განათლების მოწმობების დამზადების, შენახვის, გაცემის და აღრიცხვის წესის შესახებ . . . . . . . . . 45

## კრებული № 8

1. 1963 წლის 18 ივლისის № 1/1297 მიმართვა—აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს მასწავლებელთა აგვისტოს თათბირების ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . . 3
2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 6 ივნისის ბრძანება № 550 იდეოლოგიური მუშაობის შესახებ . 5
3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 16 ივლისის ბრძანება № 586 საგაზაფხულო გამოცდების შესახებ 8
4. რვაწლიანი და საშუალო საწარმოოსწავლებიანი სკოლების სასწავლო გეგმების შესახებ 1963—1964 სასწავლო წლისათვის 11
5. Об учебных планах русских, азербайджанских армянских, абхазских, осетинских восьмилетних и средних школ с производственным обучением и аварских начальных классов на 1963—1964 учебный год . . . . . . . . . . . . . 23
6. რვაწლიანი და საშუალო სკოლების I—IV კლასების მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების შეფასების ნორმები არითმეტიკაში 61
7. მათემატიკაში წერითი ნამუშევრების შეფასების ნორმები V-XI კლასებში . . . . . . . . . . . . . . . . . . 68
8. Методические указания о видах, количестве, порядке проверки и нормах оценки устных ответов и письменных работ по русскому языку и литературе в грузинских школах Грузинской ССР . . . . . . . . . . . . . 76

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრებული № 9


1. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 18 ივნისის ერთობლივი დადგენილება კოჯრის № 6 საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . 3
2. ბრძანება № 516—ჩოხატაურის საბავშვო სახლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . 6
3. Приказ № 518 — о результатах обследования учебно-воспитательной работы в Гантиадской школе-интернате № 2 .
4. ბრძანება № 540—სასკოლო და სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 12
5. ბრძანება № 586—საგაზაფხულო გამოცდების შედეგების შესახებ საქართველოს სსრ სკოლებში . . . . . . . . . 20
6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 6 ივლისის № 1/1172 მიმართვა ფიზიკურ კულტურაში მეცადინეობის ჩატარების წესის შესახებ . . . . . . . . . . 24
7. ბრძანება № 639—1963 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების შესახებ . . . . . . . . . . . 25
8. დებულება რაიონის, ქალაქის, ოლქის სახალხო განათლების განყოფილების, ასსრ განათლების სამინისტროებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საზოგადოებრივი ინსპექტორის შესახებ . . . . . . . . . . . . . . 28
9. ბრძანება № 692—ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლის დებულებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ . . . 31
10. ბრძანება № 781—ქ. თბილისის სკოლებში უცხო ენების სწავლების საკითხის მოწესრიგების შესახებ . . . . . . . 34
11. ინგლისური ენის პროგრამა ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების სკოლებისათვის . . . . . . . . . . . . . 36


## კრებული № 10—11


1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება 1963-1964 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 3
2. ბრძანება № 554—საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოების გამოცემის მიმდინარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ბრძანება № 557—ნორჩ მათემატიკოსთა მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . 18

4. ბრძანება № 564—მოსწავლეთა მე-18 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგებისა და მე 19 კონფერენციის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . 20

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება 1963-64 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების და საბავშვო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობის შესახებ 20 ივლისის მდგომარეობით . . . . . . . . . . . . . . 73

6. დებულება რაიონის, ქალაქის, ოლქის სახალხო განათლების განყოფილების, ასსრ განათლების სამინისტროებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საზოგადოებრივი ინსპექტორის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 78

7. ბრძანება № 629—ქ. ქ. ქუთაისსა და ჭიათურაში, მახარაძის, ყვარლისა და სიღნაღის რაიონებში არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . 81

8. ბრძანება № 630—ქ. ჭიათურის გონებით ჩამორჩენილ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 84

9. ბრძანება № 639—1963 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების შესახებ . . . . . . . . . . . . 87

10. ბრძნნება № 696—რესპუბლიკის სკოლებში საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . 90

11. ბრძანება № 720—საღამოს (ცვლის) სკოლების რვაწლიანი კურსის დაჩქარებული სწავლების ორგანიზაციის შესახებ . . 94

12. ბრძანება № 745—ნორჩ მხატვართა პირველი რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და ნორჩ მხატვართა მე-2 კონკურსის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . 98

13. ბრძანება № 843—სოციალისტური საკუთრების განიავების, სამეურნეო-ფინანსურ დარღვევათა და თანხების არაკანონიერი ხარჯვის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 119

14. ბრძანება № 845—მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და თვალსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . 123

15. ბრძანება № 876—აჭარის ასსრ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებს შორის პირველობის გათამაშების დროს მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ . . . . . . . . . . . 128

## კრებული № 12

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 23 სექტემბრის ცირკულარული წერილი მასწავლებელთა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და სამუშაო დროის მოწესრიგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

2. ბრძანება № 885—სასკოლო დოკუმენტების წარმოების შესახებ 9

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 1963 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შესრულების შესახებ . . . . . . 10

4. ბრძანება № 939—აჭარის ასს რესპუბლიკაში და ქ. გორში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . 15

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და პედაგოგიური საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი დადგენილება სკოლამდელ დაწესებულებათა შენობებისა და ეზოების მხატვრულად გაფორმების საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ . . . . . . . . . 17

6. Приказ № 948—о результатах проверки работы Калдахварской и Сухумской № 2 школ-интернатов . . . . . . . . 23

7. ბრძანება № 949—ქ. ქ. რუსთავისა და წყალტუბოს სკოლამდელ დაწესებულებათა ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . 26

8. ბრძანება № 950—კიცხის სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . 29

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 28 ოქტომბრის მიმართვა № 1/2589 . . . . . . . . . . . 34

10. ბრძანება № 982—მასწავლებელთა კადრების შერჩევის, გამოყენებისა და აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 35

11. ფრანგული ენის პროგრამა ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე სწავლების სკოლებისათვის (II—XI) . . . . . . . . . 41

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის

# დადგენილება

1963 წლის 27 დეკემბერი

ვაქვეყნებთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 დეკემბრის № 753 დადგენილებას „სასოფლო რაიონებში ექიმებისა და მასწავლებლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 452 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

**„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო**

# დადგენილება № 753

1963 წლის 10 დეკემბერი, ქ. თბილისი

**„სასოფლო რაიონებში ექიმებისა და მასწავლებლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 452 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სასოფლო რაიონებში ექიმებისა და მასწავლებლების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების ერთგვარად გაუმჯობესების მიუხედავად, ამ საქმეს სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს.

მთელი რიგი რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომები საჭირო პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ საქართვე-

ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 452 დადგენილების შესრულებას, რის შედეგადაც სოფლად მომუშავე მასწავლებლები და ექიმები ფაქტიურად ჯერ კიდევ არ არიან უზრუნველყოფილნი უფასო კომუნალური მომსახურებით (ბინა, გათბობა, განათება).

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სოფლის მასწავლებლებისა და ექიმების კომუნალური მომსახურებისათვის მეტწილად მხოლოდ ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხებს ხარჯავენ, რაიონის სხვა საშუალებებისა და შესაძლობების ამ დანიშნულებით გამოყენებაზე კი არ ზრუნავენ, ამასთან მთელ რიგ შემთხვევებში კომუნალურ მომსახურებას ნატურით არ უწევენ და მის ნაცვლად ფულად კომპენსაციას აძლევენ, რაც არასწორად უნდა ჩაითვალოს.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობას: ამ დანიშნულებით გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა თანხებს ზოგჯერ არ ითვისებენ და თვითდაბეგვრის სახსრებს არ იყენებენ. კოლმეურნეობები სათანადოდ არ მონაწილეობენ მასწავლებელთა სახლების მშენებლობაში.

არასაკმარისი რაოდენობით ხდება გრძელვადიანი კრედიტის გამოყოფა სოფლის მასწავლებლებისა და ექიმების ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, ამასთან ზოგიერთი რაიონი გამოყოფილ კრედიტებსაც კი არ ითვისებს.

სერიოზული ნაკლოვანებანია სოფლის მასწავლებლებისა და ექიმების პირველი მოხმარების საგნებითა და პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში, ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ლენინგორის, დუშეთის, ხაშურის, ამბროლაურის, ახალქალაქისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

კულტურულ საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არსებული ზემოაღნიშნული და სხვა ნაკლოვანებანი სოფლის სკოლების მუშაკებისა და სამედიცინო პერსონალის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, ხელს უშლის სოფლის სკოლებისა და სამედიცინო დაწესებულებების კვალიფიციური მუშაკებით დაკომპლექტებას და არსებული კადრების ადგილებზე, შენარჩუნებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ამ დაწესებულებათა მუშაობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 452 დადგენილების შესრულების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ, სასოფ-

ლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გადაჭრით გააძლიერონ ზრუნვა სოფლის სკოლების მუშაკებისა და სამედიცინო პერსონალისადმი, შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი. მათი ნორმალური მუშაობისათვის საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად, რისთვისაც:

ა) აუცილებლად უზრუნველყონ სოფლის სკოლების მუშაკები და სამედიცინო პერსონალი უფასო კომუნალური მომსახურებით (ბინა, გათბობა, განათება) ნატურით, ამისათვის გამოიყენონ ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში დამატებით ხარჯები დაფარონ ბიუჯეტის შესრულების წესით;

ბ) მეტი ყურადღება მიაქციონ მასწავლებლებისა და სამედიცინო პერსონალის საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და არსებული სახლების შეკეთებას, უზრუნველყონ ამ დანიშნულებით გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა თანხების აუცილებლად ათვისება და ამ საქმეში თვითდაბეგვრის სახსრების გამოყენება დადგენილი წესით;

გ) სოფლის სკოლის მუშაკებსა და სამედიცინო პერსონალს პირველ რიგში გამოუყონ მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და ბოსტნებისათვის, ამასთან იზრუნონ პირველი მოხმარების საგნებითა და პროდუქტებით მათი მომარაგებისათვის.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მომავალ წლებში გაითვალისწინოს კაპიტალდაბანდებათა გადიდება სოფლის სკოლების მასწავლებლებისა და სამედიცინო პერსონალისათვის ბინების ასაშენებლად.

3. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ 1964 წლის საკრედიტო გეგმით გაითვალისწინოს საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებისათვის გრძელვადიანი კრედიტის ლიმიტის გადიდება სოფლის სკოლების მუშაკებისა და სამედიცინო პერსონალის ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის.

4. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებმა უზრუნველყონ კოლმეურნეობათა აქტიური მონაწილეობა მასწავლებლებისა და ექიმების საცხოვრებელი სახლების შეკეთებაში.

5. ცეკავშირის გამგეობამ უზრუნველყოს სოფლის სავაჭრო ქსელი სკოლის მუშაკებისა და სამედიცინო პერსონალისათვის საჭირო პირველი მოხმარების საგნებითა და პროდუქტებით, ამას-

თან გაითვალისწინოს საჭირო საშენი მასალების გამოყოფა მათი ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის.

6. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა საქართველოს სსრ განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფინანსთა სამინისტროებთან და პროფკავშირის შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად 1964 წლის მეორე ნახევარში შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს**
**თავმჯდომარის მოადგილე გ. ჩოგოვაძე**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს**
**საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე"**

აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა და პროფკავშირების რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ ამ დადგენილებაში აღნიშნული სოფლის სკოლების მუშაკთათვის მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობების განხორციელების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სისტემატური კონტროლი დააწესონ და მიაღწიონ იმას, რომ უზრუნველყოფილნი იქნან სოფლის სკოლის მუშაკები უფასო კომუნალური მომსახურებით (ნატურით), რომ ადგილებზე განუხრელად სრულდებოდეს სოფლის სკოლის მუშაკთათვის მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათები და უპირატესობანი.

2. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) ამ დადგენილების შესაბამისად წარუდგინოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას სათანადო განაცხადი სოფლის სკოლების მუშაკების ინდივი-

დუალური ბინათმშენებლობის გრძელვადიანი კრედიტის გამოყოფის შესახებ.

3. განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ა. ლადუა) გაითვალისწინოს მომავალ წლებში კაპიტალდაბანდებათა გადიდება სოფლის სკოლების მუშაკთათვის ბინების ასაშენებლად, სისტემატური კონტროლი დააწესოს ამ ობიექტების მშენებლობაზე.

4. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე), სარევიზიო ჯგუფმა (ვ. ბოკუჩავა) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილებამ (ო. ჩიქვილაძე) 1964 წლის მეორე ნახევარში შეამოწმონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შემოწმების შედეგებზე მოამზადონ სათანადო მასალები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის მოსახსენებლად.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
**თ. ლაშქარაშვილი**

პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
**დ. მაღლაფერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 9 იანვრის ბრძანება № 17

### ლანჩხუთის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილება (გამგე ვ. ჩიკაშუა) სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას ახორციელებს სკოლების მუშაობაზე. მ სასწავლო წელს განათლების განყოფილებას კომპლექსურად შეუსწავლია 26 სკოლა, აგრეთვე შეუმოწმებია ფიზიკის, ქიმიის, უცხო ენის, რუსული ენის და ლიტერატურის, საზოგადოებათმცოდნეობის სწავლების მდგომარეობა რაიონის საშუალო სკოლებში. შემოწმების შედეგები განხილულია განათლების საბჭოს, პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოების სხდომებზე და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით მიღებულია სათანადო დადგენილებები.

განათლების განყოფილება პედაგოგიურ კაბინეტთან (გ. ხალვაში) ერთად ახდენს რაიონის მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის განზოგადებას; აწყობს მეთოდური ლიტერატურის გამოფენებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წიგნებისა და სამეცნიერო სტატიების განხილვას.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით რაიონის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფართოდ არიან ჩაბმული სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში.

კოლმეურნეობებმა ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატის მშენებლობისათვის დახარჯეს 303 000 მანეთი, ხოლო ჩოჩხათის საშუალო სკოლის სამ სართულიანი შენობის აგებისათვის კი 150 000 მანეთი. ახალი სასწავლო წლისათვის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა 5 სასკოლო შენობას მიუშენეს 17 სასკოლო ოთახი.

კოლმეურნეობების მიერ დაწყებულია და 1964 წლის პირველ

სექტემბრისათვის დამთავრდება აცანისა და აკეთის საშუალო და ომფარეთის დაწყებითი სკოლების შენობების მშენებლობა.

რაიონის რიგ შემოწმებულ სკოლებში მასწავლებელთა ერთი ნაწილი კარგად არის დაუფლებული თავის საქმეს და ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. ამ მხრივ გამოირჩევიან: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მ. კუკულაძე, ვ. მურმანიძე, დ. დოლიძე (შუხუთის საშუალო სკოლა); მათემატიკის მასწავლებლები გ. იმნაძე (ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლა), ა. აფხაზავა (სოფ. ნიგვზიანის საშუალო სკოლა), გ. ხუხუნაშვილი (შუხუთის საშ. სკოლა), ფიზიკის მაწავლებელი ი. დოლიძე (ნიგოეთის საშ. სკოლა). ეს მასწავლებლები გულმოდგინედ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, უნარიანად იყენებენ თვალსაჩინოებას, ატარებენ ცდებსა და დაკვირვებებს, მოსწავლეებს აძლევენ მეცნიერებათა საფუძვლების მკვიდრ ცოდნას და ცხოვრებაში მისი პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევებს.

რაიონის სკოლებს საწარმოო სწავლებისათვის სათანადო ბაზები აქვთ გამოყოფილი, კარგად არის შერჩეული პროფილები. პროფილების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილი და რაიონში კადრებზე მოთხოვნილება.

კარგად არის დაყენებული საწარმოო სწავლება ლანჩხუთის 1-ლი, შუხუთისა და სუფსის საშუალო სკოლებში. სუფსის ჩაის ფაბრიკის დირექციას (დირექტორი ვ. წილოსანი) საწარმოო სწავლებისათვის გამოუყვია შესაფერისი ხუთი ოთახი, შეუძენია საჭირო ინვენტარი და მოსწავლეთათვის სპეცტანსაცმელი; თითოეულ მოსწავლეს მიჩნეული აქვს სამუშაო ადგილი. სამეცადინო ოთახებში, კაბინეტებსა და სამუშაო ადგილებში დაცულია უსაფრთხოების ტექნიკა და სანიტარია. ჩაის ფაბრიკის დირექტორი სისტემატურად აწარმოებს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შემოწმებას, ესწრება გაკვეთილებსა და პედსაბჭოს სხდომებს. დამაკმაყოფილებლად ასწავლიან საწარმოო სწავლების საგნებს მასწავლებლები გურგენიძე, ნ. ლომიძე და ლ. ჩხაიძე.

მიუხედავად ამისა, შემოწმებული სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

სუსტად მუშაობენ დედაენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. ს. ჩხაიძე. ნ. აფხაზავა (ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლა), ნ. ჩხარტიშვილი (ღრმაღელის რვაწლიანი სკოლა). ა. აფხაზავა (ნიგვზიანის საშუალო სკოლა). ისინი ქართული ენის გრამატიკას ასწავლიან ზეპირსიტყვიერად ლიტერატურული მასალის და ცოცხალი სასაუბრო მეტყველებისაგან მოწყვეტით; საკმაო ყურად-

ღებას არ აქცევენ ნაწარმოების ლექსიკური მხარის შესწავლას და იდეურ-მხატვრულ ანალიზს; ყურადღებით არ ასწორებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს და საკმაო რაოდენობით არ ატარებენ ვარჯიშს დაშვებული შეცდომების გასწორებაზე. ამის შედეგად დაბალია მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის დონე.

ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის IX კლასის 25 მოსწავლიდან საკონტროლო წერაში ნიშანი „2" მიიღო 15 მოსწავლემ (მასწავლებელი ნ. აფხაზავა); სუფსის საშუალო სკოლის XI კლასის (მასწავლებელი თ. კუპრაძე) მოსწავლის ზ. კ-იას წერითი ნამუშევარი მასწავლებელს შეუფასებია ნიშან „4"-ზე, მაშინ, როდესაც თემის დიდი ნაწილი სიტყვა-სიტყვით სახელმძღვანელო წიგნიდანაა გადმოწერილი. ამავე სკოლის VI კლასში (მასწავლებელი მ. ჩხარტიშვილი) წერის ნორმები არ არის შესრულებული. ღრმაღელის რვაწლიანი სკოლის (მასწავლებელი ნ. ჩხარტიშვილი) VIII კლასის მოსწავლის დ. მ-ლის ნამუშევარი მასწავლებლის მიერ შეფასებულია ნიშან „4"-ზე. მაშინ, როდესაც მასწავლებელს არც ერთი შეცდომა არ შეუნიშნავს და შეუმჩნეველი დარჩენია 16 შეცდომა.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება. სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს ლანჩხუთის 1-ლი და სუფსის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეებმა არითმეტიკაში (მასწავლებლები ნ. ვადაჭკორია და ვ. დარჩია) მათ ვერ შესძლეს მარტივი ამოცანების ამოხსნა პროცენტებზე, არ არის მოსწავლეებში დანერგილი ზეპირი ანგარიშის ჩვევები. მაგალითად, სუფსის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ვერ გამოიანგარიშეს თუ რამდენი იქნებოდა 8×2,5-ზე, ამავე სკოლის V კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ე. გურგენაძე) არ იციან წილადების შედარება. არადამაკმაყოფილებელია სუფსის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეთა მომზადების დონე გეომეტრიაში (მასწავლებელი ი. ჭანტურია). ამ კლასში 8 ოქტომბრის საკონტროლო წერით ნამუშევარში 15 მოსწავლიდან 9 მოსწავლეს არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაუმსახურებია.

შუხუთის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი კ. ჯორბენაძე) არ იციან განტოლებათა ძირითადი თვისებები. მათ ვერ შესძლეს დამოუკიდებლად ამოეხსნათ მარტივი ერთუცნობიანი პირველი ხარისხის წილადწევრებიანი განტოლება.

შემოწმებული სკოლების ზოგიერთი მასწავლებელი არ ასრულებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 17 მაისის № 324 ბრძანების იმ ნაწილს, სადაც მითითებულია, რომ

საკონტროლო წერების ჩატარებისას მასწავლებლები არ უნდა კმაყოფილდებოდნენ უბრალო სახის ამოცანებისა და მაგალითების მიცემით, რითაც ხელოვნურად ზრდიან მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებს. მაგალითად, შუხუთის საშუალო სკოლის VIII კლასში, ალგებრის საკონტროლო წერის დროს მასწავლებელ ე. ტუღუშს მეტად მარტივი მაგალითები მიუცია თანამამრავლის რადიკალის ნიშნის გარეთ გატანაზე, მიუხედავად ამისა, 24 მოსწავლიდან 8 მოსწავლეს მიუღია ნიშანი „2". მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ლანჩხუთის II საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ა. ბზეკალავა).

ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე ფიზიკის სწავლება შესწავლილ ზოგიერთ სკოლაში. ასე, მაგალითად, სუფსის საშუალო სკოლის VI კლასის 24 მოსწავლიდან (მასწავლებელი ლ. ჭანტურია) მხოლოდ ორმა მოსწავლემ იცოდა თუ რას ნიშნავს ფიზიკური სიდიდის გაზომვა. ამ კლასში მოსწავლეებმა ზეპირად იციან კუთრი წონის განმარტება, მაგრამ ვერ პასუხობენ რას აიწონის 1 დმ$^3$ ზეთი, თუ მისი კუთრი წონა 0,8 $\frac{გ}{სმ^3}$. აგრეთვე სუსტად იციან მოცულობათა გაზომვის საკითხები. მასწავლებელმა გაკვეთილი მოუმზადებლად ჩაატარა, ახსნა „არქიმედის კანონი" 10 წუთში და ვერ შესძლო ცდისა და თვალსაჩინოების სათანადოდ გამოყენება, როდესაც კაბინეტში ამის საშუალება იყო. ასევე დაბალ დონეზე ჩატარდა გაკვეთილი VIII კლასშიაც (მასწავლებელი ი. ჭანტურია), ამ სკოლის XI კლასის მოსწავლეთა ცოდნა ფიზიკაში არადამაკმაყოფილებელია.

შესწავლილ სკოლებში არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოების დიდი ნაწილი, ნაკლებად ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საწარმოო სწავლება აკეთისა (დირექტორი ვ. ჭეიშვილი) და ნიგვზიანის (დირექტორი ლ. მოისწრაფიშვილი) საშუალო სკოლებში. მოუწყობელია საწარმოო სწავლების ბაზა ნიგვზიანის საშუალო სკოლაში. დასახელებულ სკოლებში არასწორადაა შედგენილი საწარმოო პრაქტიკისა და მწარმოებლური შრომის გრაფიკი. გრაფიკში არ არის დაცული სამუშაოთა სეზონურობა. ამ სკოლებში მოუწესრიგებელია საწარმოო სწავლების ჟურნალების წარმოება; ჟურნალებში არ წარმოებს თითოეული მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს აღრიცხვა.

მოუვლელი და დაუმუშავებელია სასწავლო-საცდელი ნაკვეთები ნიგვზიანის, შუხუთისა და სუფსის საშუალო სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუწყობელია სასწავლო სახელოსნოები ლანჩხუთის და სუფსის საშუალო სკოლებში. არა აქვთ საკმაო რაოდენობით დაზგები, გირაგები, სამუშაო იარაღები. ჩარხები დაუმონტაჟებელი და მოუვლელია.

საწარმოო სწავლების დარგში ასეთი ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არადამაკმაყოფილებელ დახმარებას და კონტროლს უწევენ ამ საგნის მასწავლებლებს. შუხუთის საშუალო სკოლაში ჯერ კიდევ არ არის დანიშნული სასწავლო ნაწილის გამგე საწარმოო სწავლების დარგში.

სუფსის საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. კვაჭაძე) ძალზე დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება; 1 ლ მეოთხედში 481 შეფასებული მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 95 მოსწავლე, ხოლო მეორეწლიანი 27 მოსწავლიდან—12. ამ სკოლის დამამთავრებელი XI კლასის მოსწავლეთა ცოდნა იმდენად დაბალია, რომ 15 მოსწავლიდან შედარებით დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებს 3—4 მოსწავლე.

ზოგიერთ სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების საქმეს. სუფსის საშუალო სკოლიდან განთესილია—1, შუხუთის საშუალო სკოლიდან—2, ღრმაღელის რვაწლიანი სკოლიდან—1, ნიგოეთის საშუალო სკოლიდან—2 მოსწავლე.

შესწავლილ ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს მოსწავლეთა მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენას. ასე, მაგალითად, სუფსის საშუალო სკოლაში 7 851 გაცდენილი გაკვეთილიდან არასაპატიოდაა გაცდენილი 3 170 გაკვეთილი. ზოგჯერ სკოლები მოსწავლეთა მიერ გაცდენილ გაკვეთილებს საპატიოდ სთვლიან მაშინაც, როდესაც საამისო საბუთები არ მოეპოვებათ.

შემოწმებულ ყველა სკოლაში გაკვეთილების ცხრილის შედგენისას არ იცავენ პედაგოგიურსა და მეთოდურ მოთხოვნებს. ცხრილში ზოგიერთი დღეები გადატვირთულია მათემატიკური დისციპლინებით, ზოგიერთი კი—ჰუმანიტარულით, აგრეთვე მსგავსი და მონათესავე დისციპლინები მოსაზღვრე საათებშია გათვალისწინებული.

არადამაკმაყოფილებელია პედსაბჭოს მუშაობა ნიგვზიანის (დირექტორი ლ. მოისწრაფიშვილი), სუფსის (დირექტორი გ. კვაჭაძე) საშუალო და ღრმაღელის რვაწლიანი (დირექტორი ზ. თა-

ვართქილაძე) სკოლებში. ნიგვზიანის საშუალო სკოლაში პედსაბჭო ახალი დებულებით არ მუშაობს. დასახელებული სკოლების პედ-საბჭოს ოქმები უწიგნურადაა გაფორმებული და დადგენილებები ზოგადია.

ზოგიერთი სკოლის კლასის ხელმძღვანელთა სააღმზრდელო გეგმებს აკლია კონკრეტულობა. შუხუთის საშუალო სკოლის X კლასის ხელმძღვანელის მ. ნიკოლაიშვილის I-ლი და II მეოთხედების სააღმზრდელო გეგმები სიტყვა-სიტყვით ერთი და იგივეა. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი სუფსის საშუალო სკოლის ზოგიერთი კლასის ხელმძღვანელის სააღმზრდელო გეგმებში.

შესწავლილი სკოლების უმრავლესობაში სუსტადაა დაყენებული დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების კონტროლი და ხელმძღვანელობა სასწავლო-მეთოდურ მუშაობაზე. ნიგვზიანის საშუალო სკოლაში ჯერ კიდევ არ მუშაობს ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდგაერთიანება. სკოლებში არ აწყობენ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადებას. სკოლის ხელმძღვანელთა მიერ შემოწმებული გაკვეთილების ჩანაწერები და ანალიზები ზერელე და უწიგნურია. ზოგიერთ სკოლაში დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ერთი და იგივე სპეციალობისაა. მაგალითად, ნიგვზიანის და სუფსის საშუალო სკოლებში დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ისტორიკოსები არიან.

რაიონის სკოლების მოსწავლეები წელს დღიურების გარეშე არიან დარჩენილი, ხოლო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ 1963 წელს გამოცემული რვაწლიანი სკოლის პროგრამები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მასწავლებელი სათანადოდ ემზადებოდეს გაკვეთილებისათვის და მოსწავლეებს უნერგავდეს მტკიცე ცოდნას;

ბ) გაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიურ მოთხოვნათა ზუსტად დაცვით; გადაამუშაონ კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები და დასამუშავებელ საკითხებს მისცენ კონკრეტული ხასიათი;

გ) პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განიხილონ ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობა და სასწავლო მეოთხედების ბოლოს მოახდინონ მეოთხედის განმავლობაში ჩატარებული მუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ღრმა ანალიზი, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ დასახონ საჭირო ღონისძიებანი;

დ) გააძლიერონ მეთოდური მუშაობა სკოლაში და ამ საქმეში იხელმძღვანელონ მეთოდური მუშაობის შესახებ განათლების სამინისტროს 1961 წლის 20 ივნისის № 422 ბრძანებით, ფართოდ განაზოგადონ და დანერგონ მოწინავე მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილება;

ვ) მოაწყონ და შეავსონ სასწავლო სახელოსნოები და კაბინეტები სათანადო მოწყობილობით, ხელსაწყოებით და რეაქტივებით;

ე) გადამჭრელი ზომები მიიღონ სასკოლო მიწის ნაკვეთების კეთილმოწყობისათვის, მიაღწიონ იმას, რომ მათზე ნამდვილად წარმოებდეს სასწავლო-საცდელი მუშაობა;

ზ) მტკიცე კონტროლი დააწესონ საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განუხრელად გატარებაზე, მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლის გარეთ დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლებაში ჩაბმისათვის, არ დაუშვან სკოლიდან მოსწავლეთა უმიზეზოდ გასვლა, აღკვეთონ მოსწავლეთა არასაპატიო მიზეზებით გაკვეთილების გაცდენის შემთხვევები;

თ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არსებითი გარდაქმნა; დასახონ და გაატარონ ყველა აუცილებელი ღონისძიება მოსწავლეთა ცოდნის დონის მკვეთრად ამაღლებისათვის.

2. სუფსის საშუალო სკოლის დირექტორს გ. კვაჭაძეს და სასწავლო ნაწილის გამგეს შ. გოგოლაძეს, სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის გამოეცხადოთ საყვედური.

3. ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ვ. ჩიკაშუა):

ა) გააძლიეროს კონტროლი და დახმარება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი; სისტემატურად შეამოწმოს სკოლების მუშაობა და იბრძოლოს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) სათანადო კონტროლი დააწესოს ამ ბრძანებაში მოხსენებულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა საქმიანობაზე და, თუ ისინი ვერ გარდაქმნიან მუშაობას, დააყენოს საკითხი მათი განთავისუფლების შესახებ სათანადო წესის დაცვით:

გ) ახალი სასწავლო წლისათვის გადასინჯოს და გადააჯგუ-

ფოს სკოლის ხელმძღვანელები, რომლებიც ერთი და იგივე სპეციალობისაა, ანდა რომლებმაც ვერ გაამართლეს დაკისრებული მოვალეობა; უახლოეს დროში შეარჩიოს შესაფერისი კანდიდატურა და დანიშნოს შუხუთის საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ საწარმოო სწავლების დარგში;

დ) აღნიშნული ბრძანება განიხილოს რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, დასახოს საქმიანი ღონისძიება სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად და სასწავლო წლის წარმატებით დასამთავრებლად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 9 იანვრის ბრძანება № 18

### აჭარის ასს რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საწარმოო სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 ივლისის № 470 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა საწარმოო სწავლების განყოფილების მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათს აჭარის ასს რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საწარმოო სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 ივლისის № 470 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ, აღვნიშნავ, რომ მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა ქ. ბათუმის, ჩაქვისა და ქედის რაიონების სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს: მოსწავლეთათვის არ არის გამოყოფილი თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე შექმნილი მანქანა-იარაღები, ქ. ბათუმის სკოლებში პროფესიების შერჩევა არ ხდება სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა:

ა) განიხილოს კოლეგიის სხდომაზე „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 ივლისის № 470 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მოხსენებითი ბარათი და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი მასში აღნიშნულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ბ) სისტემატურად შეამოწმოს სკოლებში საწარმოო სწავლების მიმდინარეობის მდგომარეობა, უზრუნველყოს სკოლები სასწავლო მატერიალური ბაზებითა და სპეციალური განათლების მქონე კადრებით;

გ) 1964 წლის 15 თებერვლისათვის განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს ანგარიში გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

---

F2811

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

# მოხსენებითი ბარათი

**აჭარის ასს რესპუბლიკის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა საწარმოო სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 ივლისის № 470 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ**

1963 წლის 21 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს საწარმოო სწავლების განყოფილების უფროსის ს. კ. ტონიას, განათლების სამინისტროს ინსპექტორის გ. ნ. შენგელიასა და ინსპექტორ-მეთოდისტ ტ. ი. ჩიგოგიძის მიერ შემოწმებული იქნა აჭარის ასს რესპუბლიკაში საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა საწარმოო სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 ივლისის № 470 დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

შემოწმებით დადასტურდა, რომ კანონის — „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ — შესაბამისად აჭარის ასს რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების გაუმჯობესებისათვის.

საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილი სკოლებისათვის საწარმოო ბაზების მოსაწყობად და მოსამზადებლად სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სახალხო მეურნეობის საბჭოს კარგი მუშაობა, რომელმაც საწარმოოსწავლებიანი სკოლებისათვის გამოყო სათანადო საწარმოო ბაზები, სადაც მოწყობილია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო-საწარმოო საამქროები, მაღლები, უბნები და ცალკე სამუშაო ადგილები მოსწავლეთა ინდივიდუალური მუშაობისათვის. ზოგადტექნიკური საგნებისა და სპეციალობის თეორიის სწავლებისათვის გამოყოფილია ცალკე ოთახები, რომლებიც შევსებულია საჭირო დგამ-ავეჯით, მოწყობილობით, დიდაქტიკური მასალებით, კარგად გაფორმებული სტენდებითა და სხვ.

საბაზო საწარმოებში დაცულია უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესები; მოსწავლეთათვის შექმნილია მუშაობის ნორმალური პირობები: ისინი უზრუნველყოფილი არიან სპეცტანსაცმლით, ინდივიდუალური კარადებით, პირადი ნივთებისა და ტანსაცმლის შესანახად, მუშაობის დამთავრების შემდეგ სარგებლობენ შხაპებით, პირსაბანებით და ჰიგიენის სხვა საშუალებებით.

დიდი მუშაობაა ჩატარებული აჭარის ასს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სასწავლო-მატერიალური ბაზის სწორად განაწილების, შერჩევისა და მოწყობისათვის. ქ. ბათუმის გემშენებელ ქარხანაში (დირექტორი პ. ი. ჯორბენაძე), სადაც საწარმოო სწავლებას გადიან ქ. ბათუმის მე-3, მე-7 და მე-12 საშუალო სკოლების IX—XI კლასების მოსწავლე ვაჟები, რომლებიც მექანიკურ საამწყობო სამუშაოთა ზეინკლის პროფესიას ეუფლებიან, მოწყობილია ზოგადტექნიკური და სპეციალობის თეორიის სწავლებისათვის კაბინეტ-ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია საჭირო მოწყობილობითა და თვალსაჩინო მასალებით. სასწავლო კაბინეტებში გამოფენილია კარგად გაფორმებული (საზეინკლო ოპერაციების შესრულებისათვის საჭირო იარაღები, კლიმატური ჩაქუჩი, ბურღი, მშლელის ჭრილი და სხვ), სტენდები, რაც ფართოდაა გამოყენებული სწავლებაში. პირველ ეტაპზე მოსწავლეთა პრაქტიკული საწარმოო სწავლებისათვის ქარხანაში გამოყოფილია 160 კვმ ფართობის ცალკე სასწავლო-საწარმოო საამქრო, სადაც მოწყობილია 25 სამუშაო ადგილი ერთდროულად დამოუკიდებელი მუშაობისათვის. ამავე საამქროში დაყენებულია სახარატო, საბურღი, სალესი ჩარხები, რომლითაც მოსწავლეები ეუფლებიან სხვადასხვა სამუშაოების შესრულებას მწარმოებლური შრომის პროცესში. საწარმოო სწავლების მეორე ეტაპისათვის მოსწავლეთა უკეთ მომზადების მიზნით მათ ავარჯიშებენ პნევმატური ჩაქუჩებისა და ბურღების ხმარებაზე, რისთვისაც საამქროში მოწყობილია გაყვანილობა შეკუმშული ჰაერისათვის.

პრაქტიკული საწარმოო სწავლების საამქროში მოწყობილია დღის ელექტრული განათება, გათბობა და კარგად არის დაცული უსა-ფრთხოების ტექნიკის წესები, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი. მოსწავლეები უზრუნველ-ყოფილნი არიან დამხმარე სათავსოებით, სპეციალური ტანსაცმ-ლით, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებითა და სხვ. ანალო-გიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ქ. ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში (დირექტორი გ. ი. ცინცაძე), სადაც საწარმოო სწავ-ლებას გადიან ქ. ბათუმის 1-ლი, მე-5 და მე-9 საშუალო სკოლების IX—XI კლასების მოსწავლე ვაჟები, რომლებიც ეუფლებიან მექა-ნიკურ საამწყობო ხამუშაოთა ზეინკლის პროფესიას. აქ ყოველ-გვარი პირობებია შექმნილი პირველ ეტაპზე მოსწავლეთა საწარ-მოო (თეორიული და პრაქტიკული) სწავლებისა და მეორე ეტაპზე მწარმოებლური შრომის შეუფერხებლად ჩასატარებლად. ასევე კარგადაა მოწყობილი საწარმოო (თეორიული და პრაქტიკული) სწავლებისათვის კაბინეტები და სასწავლო-საწარმოო საამქრო ქ. ბათუმის ნავთგადამმუშავებელ ქარხანაში (დირექტორი ს. ს. დო-ლიძე), სადაც საწარმოო სწავლებას გადიან ქ. ბათუმის მე-18 სა-შუალო სკოლის IX—XI კლასების მოსწავლე გოგონები და ვაჟები. ქ. ბათუმის ამ საწარმოში მოსწავლეთა თეორიული და პრაქტი-კული საწარმოო სწავლებისათვის გამოყოფილია ცალკე კორპუსი 350 კვმ ფართობით, სადაც მოწყობილია საზეინკლო საამქრო 25 სამუშაო ადგილით და კაბინეტები საზომ ხელსაწყო-იარაღებისა და ავტომატიკის მომსახურებისა და ზეინკალ-შემკეთებლის მოსამ-ზადებლად. ამასთან ერთად ქარხანაში მოწყობილია სპეციალური ქიმიური ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო მო-წყობილობითა და მასალებით, სადაც პირველ დაწყებით სწავლე-ბას ქიმიური ანალიზების ჩატარებაზე გადიან IX—X კლასების მოსწავლეები, რომლებიც ნავთგადამმუშავებელ დანადგარების ოპერატორის თანაშემწის პროფესიას ეუფლებიან. ქობულეთის სა-შუალო სკოლას კოლმეურნეობამ საწარმოო სწავლებისათვის გა-მოუყო 0,5 ჰა სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაცია. გარდა ამისა, სკოლა მოსწავლეთა პრაქტიკულ საწარმოო სწავლებასა და მწარ-მოებლურ შრომაში მიზნობრივად იყენებს საკუთარ ნაკვეთს და სანერგეს, სადაც გამოჰყავთ ჩაისა და სუბტროპიკულ მცენარეთა ნერგები, სასწავლო-საცდელი მუშაობის კარგად მოწყობის შედეგად მოსწავლეები ეუფლებიან ჩაის თესლის გაღივების ხარისხის გამო-კვლევას, ჩაის გადაწვენით გამრავლებას, კალმების აღებასა და მყნობით გამრავლების წესებს. ასევე მნიშვნელოვანი მუშაობა

ჩატარებული მოსწავლეთა საწარმოო ბაზების მოწყობისათვის ქ. ბათუმის ელექტროტექნიკურ (დირექტორი ა. მ. ხარაზი), ელექტროხელსაწყოთა (დირექტორი შ. ს. ჭილაია), ელექტროკარის (დირექტორი ი. გ. უნგიაძე) ქარხნებში, ჩაქვის რაიონის ურეხის ჩაისა (დირექტორი შ. ი. ხაზარაძე) და ქ. ბათუმის № 4 ფეხსაცმელების (დირექტორი ვ. მ. ჯანიკაშვილი) ფაბრიკებში. აგრეთვე გარკვეული მუშაობაა ჩატარებული ქ. ბათუმის მე-3 საშუალო სკოლაში სასწავლო-საწარმოო სამკერვალო სახელოსნოს მოსაწყობად და მე-2 საშუალო სკოლაში სამხაზველო და კინოტექნიკის კაბინეტების შესაქმნელად, სადაც ამ სკოლების IX—XI კლასების მოსწავლეები ქალის ზედა ტანსაცმლის მკერავის, მხაზველი მადეტალირებლისა და მეორე კატეგორიის კინომექანიკოსის პროფესიებს ეუფლებიან.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საწარმოო სწავლების შემოღებამ შექმნა მტკიცე, საქმიანი ურთიერთობა სკოლასა და წარმოებას შორის. დამყარდა ურთიერთპატივისცემა და საზოგადოებრივ ინტერესებზე დაფუძნებული კავშირი მუშებსა, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შორის. ქ. ბათუმის მე-18 სკოლაში შექმნილია კარგად გაფორმებული ალბომი—„ჩვენი ქარხანა მეგობრობის კერაა“, სადაც მოცემულია სკოლის საწარმოო ბაზის, ქ. ბათუმის ნავთგადამმუშავებელი ქარხნის ჩამოყალიბების, განვითარების ისტორიის, მოწინავე მუშების, კომუნისტური შრომის ბრიგადისა და ქარხნის ცხოვრების ამსახველი მასალები. სკოლის დერეფნებში გამოფენილია კარგად გაფორმებული სტენდები ქარხნის ისტორიისა და მუშაობის შესახებ. ამასთან ერთად სკოლის მუშაკები ქარხნის მუშაკთათვის და მათი თანამშრომლები სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგიური კოლექტივებისათვის სისტემატურად ატარებენ მოხსენებებსა და საუბრებს. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ქ. ბათუმის მე-3 სკოლასა და გემშენებელ ქარხანაში.

შემოწმებული სკოლების უმრავლესობა უზრუნველყოფილია სათანადო ცენზისა და მუშაობის საკმაო გამოცდილების მქონე ინჟინერ-ტექნიკოსებით, აგრონომებით, ზოოტექნიკოსებითა და მოწინავე კვალიფიციური მუშებით.

სკოლების საწარმოო ბაზების ხელმძღვანელ მუშაკებსა და პროფესიული მომზადების მასწავლებლებს, რომლებსაც სპეციალური პედაგოგიური განათლება არა აქვთ, განათლების ორგანოები და სკოლების ხელმძღვანელები სისტემატურ დახმარებას უწევენ და ნაყოფიერ მუშაობას ატარებენ მათი პედაგოგიური დახელოვნების მიზნით. ამ მხრივ გამოირჩევა ქ. ბათუმის მე-3 საშუალო

სკოლის საწარმოო სწავლების დარგში სასწავლო ნაწილის გამგისა და ქ. ბათუმის განათლების განყოფილების შტატგარეშე ინსპექტორის ი. კობიაშვილის მუშაობა, რომელიც დიდ დახმარებას უწევს საბაზო საწარმოს გემშენებელ ქარხნის მუშაკებს, ქალაქის სხვა სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეებს საწარმოო სწავლების დარგში და მასწავლებლებს. იგი ქარხნის მიერ გამოყოფილ საწარმოო (თეორიული და პრაქტიკული) სწავლების მასწავლებელთათვის პროფესიული მომზადების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყოველი ახალი თემის ახსნამდე ატარებს სემინარებს და აცნობს მათ სწავლების მეთოდებს, თვალსაჩინო მასალებს, პრაქტიკული სამუშაოების სახეებს, ცალკეული საზეინკლო ოპერაციების შესრულებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებს; ასევე მოსწავლეთა პირველ და მეორე ეტაპზე საწარმოო სწავლებისათვის შედგენილი აქვს ტექნოლოგიური რუკები, სადაც მოცემულია პროგრამით გათვალისწინებულ ხელსაწყოთა დამზადებისათვის საჭირო ზომები, დამუშავების სიზუსტე, სისუფთავე და დროის ნორმა.

შემოწმებული საშუალო სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება საწარმოო სწავლებისა და მოსწავლეთა მწარმოებლური შრომის სწორი ორგანიზაციის საქმეს, გულდასმით ემზადება ყოველდღიური მუშაობისათვის, სწავლებაში იყენებს თვალსაჩინოებას და მაღალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს. ასე, მაგალითად, ქ. ბათუმის ელექტროკარის ქარხანაში მექანიკურ საამწყობო სამუშაოთა ზეინკლის სპეციალობის თეორიის მასწავლებელმა (ა. პ. კორონევსკი) ქ. ბათუმის მე-8 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებს გასაგებად და დამაჯერებლად აუხსნა თემა — „ქარხანაში დამუშავებული დეტალების ნახაზები და ამ ნახაზების გაფორმების თავისებურება“. ახსნის დროს კარგად გამოიყენა დეტალების დამზადებისათვის მუშა ნახაზები, პლაკატები და სხვ. მან ჯერ პლაკატების საშუალებით გააცნო მოსწავლეებს ზომათა და დაშვების აღნიშვნები, წარწერები, ამის შემდეგ მოსწავლეებს დაურიგა ნახაზები და ავარჯიშა მის წაკითხვაზე. ქ. ბათუმის ელექტროკარის ქარხანაში სახარატო საქმის პრაქტიკული საწარმოო სწავლების მასწავლებელმა (ბ. ე. სოსელია) IX კლასის მოსწავლეებს გააცნო ლაბორატორიულ-პრაქტიკული სამუშაოს სახე, გარე ცილინდრული ზედაპირების შემოჩარხვის ხერხები, ჩაუტარა ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის შესახებ სახარატო ჩარხზე, დაურიგა ნამზადები, მუშა ნახაზები და მოსწავლეები შეუდგნენ დამოუკიდებლად სამუშაოს შესრულებას. ქ. ბათუმის მე-8 საშუალო სკოლის ელექტროტექნიკის მასწავლე-

ბელმა (შ. უგულავა) XI კლასში მოსწავლეებს ფრონტალური კითხვე-ბით გაამეორებინა სწორი დენისა და დენიანი კოჭას მაგნიტური ვე-ლი, მისი მოქმედება დენზე, ელექტრომაგნიტი, მაგნიტოელექტრული და ელექტრომაგნიტური სისტემის ხელსაწყოების მოქმედების პრინ-ციპები. მასწავლებელმა გაკვეთილზე გამოიყენა თვალსაჩინოება და ყოველივე ამის შემდეგ მოსწავლეები პრაქტიკულად ავარჯიშა მაგნიტოელექტრული და ელექტრომაგნიტური სისტემის ხელსაწ-ყოების მოწყობილობის გაცნობაზე, შკალაზე არსებული პირობითი აღნიშვნების გაშიფვრაზე, შკალის დანაყოფის ფასის განსაზღვრასა და შესწორების გრაფიკით სარგებლობაზე. ასეთივე ნაყოფიერ მუ-შაობას ატარებენ ქ. ბათუმის № 4 ფეხსაცმლების ფაბრიკის, ფეხსაცმლის საპირეს დამამზადებლისა (ზ. თენეიშვილი) და ელექ-ტროტექნიკური ქარხნის სახარატო საქმის (კ. პ. იმნაიშვილი) პრაქტიკული საწარმოო სწავლების მასწავლებლები.

ზოგიერთი საწარმოოსწავლებიანი სკოლის IX—XI კლასების მოსწავლეები სწავლების პირველ ეტაპზე და განსაკუთრებით მეორე ეტაპზე, როდესაც ისინი გადადიან მწარმოებლურ შრომაზე ქმნიან პროდუქციას და სახელმწიფოებრივ დოვლათს. პირველ ეტაპზე საწარმოო სწავლებას კარგად უთავსებენ პროდუქციის გამოშვებას ქ. ბათუმის გემშენებელ ქარხანაში (მასწავლებელი ა. ა. ბუკაშკი-ნი), სადაც მექანიკურ საამწყობო სამუშაოთა ზეინკლის პროფესიის შემსწავლელ მოსწავლეებს სწავლების პირველ ეტაპზე თემის—„ძი-რითადი საზეინკლო ოპერაციების“ შესწავლისას ეძლევათ საზეინკ-ლო იარაღების ნამზადები (ჩაქუჩი, ბრტყელტუჩა, ღოჯი, მრგვალ-ტუჩა და სხვ.), რითაც ეუფლებიან ძირითად საზეინკლო ოპერა-ციებს და ამასთან ერთად ქმნიან მზა პროდუქციას. მოსწავლეთა მიერ დამზადებულ საზეინკლო იარაღებს აბარებენ ქარხანას, სა-დაც ადგენენ საექსპორტო მსუბუქი კატარღებისათვის საზეინკლო იარაღების კომპლექტებს. მე-15 საშუალო სკოლის IX და X კლა-სების 28 მოსწავლე ვაჟმა, რომლებიც ელექტროტექნიკურ ქარხა-ნაში ხარატის პროფესიას ეუფლებიან ოქტომბრის თვეში საოჯახო სარეცხი მანქანისათვის დაამზადეს ბრჯენი ხრახნით 3000 ცალი, ალუმინის მილყელი 1400 ცალი, დაჭრეს ალუმინის მილები 1700 ცალი და სხვ.

საწარმოო სწავლების შემოღებამ, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების საგნებს შორის ურთიერთკავშირ-მა, ხელი შეუწყო სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავ-ლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას. ასე, მაგა-ლითად, თუ ჩაქვის რაიონის გონიოს საშუალო სკოლის VIII კლა-

სის მოსწავლეთა აკადემიური წარმატება გასულ სასწავლო წლის პირველ მეოთხედში 84% არ აღემატებოდა, მიმდინარე სასწავლო წელს IX კლასში ამავე პერიოდისათვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება 86%-მდე გაიზარდა. ამავე სკოლის XI კლასის ყველა მოსწავლე ასწრებს მიმდინარე სასწავლო წლის I მეოთხედში, ასეთივე აკადემიური წარმატება ჰქონდათ მათ X კლასში ამავე პერიოდისათვის. აღნიშნული რაიონის თხილნარის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეთა აკადემიური წარმატება მიმდინარე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში გასული სასწავლო წლის ამავე პერიოდთან შედარებით 76%-დან 83%-მდე გაიზარდა.

რიგ შემოწმებულ სკოლებში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული იმ ქალიშვილთა და ჭაბუკთა სამუშაოზე მოსაწყობად, რომლებმაც დაამთავრეს საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლა. ჩაქვის რაიონის ციხისძირის საშუალო სკოლის 16 კურსდამთავრებულიდან უმაღლეს სასწავლებელში სწავლა განაგრძო 2-მა, საბჭოთა არმიის რიგებში გაწვეულია—1, ხოლო 13 მოსწავლე მუშაობს კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სპეციალობის მიხედვით. ქ. ბათუმის მე-18 საშუალო სკოლის 13 კურსდამთავრებულიდან სკოლის საწარმოო ბაზაში სპეციალობის მიხედვით მუშაობს 10 და უმაღლეს სასწავლებელში სწავლა განაგრძო სამმა. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ჩაქვის რაიონის გონიოსა და ბობოყვათის, ქედის რაიონის წონიარისის, ქ. ბათუმის მე-8 და სხვა საშუალო სკოლებში.

მიუხედავად ამისა, შემოწმებულ სკოლებში საწარმოო სწავლების საქმეში არსებობს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. ამ დარგში ჩატარებული მუშაობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს და ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობენ კანონიდან სკოლის შესახებ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 24 ივლისის № 470 დადგენილებიდან—„საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა საწარმოო სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

ზოგიერთი სკოლისა და წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის საჭირო საწარმოო ბაზების მოწყობაზე, რის შედეგად ამ სკოლებში დაბალ დონეზე ტარდება როგორც თეორიული სწავლება, ისე პრაქტიკული საწარმოო სწავლება და მოსწავლეთა მწარმოებლური შრომა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საბაზო სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებმაც ვერ შესძლეს სკო-

ლების საწარმოო სწავლებისათვის ყველა აუცილებელ საჭირო მოწყობილობით აღჭურვილი, კეთილმოწყობილი სასწავლო კაბინეტებისა და სამშენებლო მოედნების მოწყობა, რაც აფერხებს ამ დარგისათვის კვალიფიციური მუშების მომზადების საქმეს. ქ. ბათუმის მე-5 სამშენებლო ტრესტის (მმართველი მ. ო. უსტიაშვილი) სასწავლო კომბინატში, სადაც საწარმოო სწავლებას 24-ე საშუალო სკოლის IX და X კლასების მოსწავლე ვაჟები გადიან და დურგლის პროფესიას ეუფლებიან, გამოყოფილი არაა სათავსოები და IX კლასის მოსწავლეები საქმიანი ეზოს მერქნის დამამუშავებელ საამქროში მიმაგრებული არიან მუშებთან და მეტად პრიმიტიულ სამუშაოს ასრულებენ, რაც არ შეესაბამება პროფესიული მომზადების სასწავლო პროგრამას. აგრეთვე მოსწავლეებისათვის სათანადო პირობები არაა შექმნილი ქ. ბათუმის ხის დამამუშავებელ კომბინატში (დირექტორი გ. კ. ღლონტი), სადაც საწარმოო სწავლებას გადიან ქ. ბათუმის მე-2, მე-14, მე-16 და მე-17 საშუალო სკოლების IX—XI კლასების მოსწავლე ვაჟები.

სოფლის საწარმოოსწავლებიანი სკოლებისათვის შერჩეული საწარმოო ბაზების ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საწარმოო სწავლების გაუმჯობესების საქმეს. სოფლის საწარმოოსწავლებიანი სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან ტრაქტორებით და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით. არ წარმოებს სკოლების მომარაგება ჯიშიანი თესლით და არ ტარდება საცდელი მუშაობა. კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს მოსწავლეთათვის არ შეუძენიათ საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რის გამოც მუშაობა უხდებათ ისეთი იარაღებით, რომლებიც არ შეესაბამება მათ ასაკსა და ფიზიკურ მდგომარეობას. მოსწავლეებისათვის შეძენილი არაა სპეცტანსაცმელი. პრაქტიკული საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის დროს ხელმძღვანელთა ერთი ნაწილი არ იცავს უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესებს, მუშაობისა და დასვენების სწორ რეჟიმს და მოუგვარებელია მოსწავლეთა კვების ორგანიზაცია.

რიგ შემოწმებულ სოფლის საწარმოოსწავლებიან სკოლებში სათანადოდ არ არის შედგენილი პრაქტიკული საწარმოო სწავლებისა და მწარმოებლური შრომის გრაფიკი და ზოგჯერაც დარღვეულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სეზონურობა. ჩაქვის რაიონის ციხისძირის, ვეჯინისწყლისა და ქედის რაიონის პირველი მაისისა და წონიარისის საშუალო სკოლების გრაფიკებში ძირითადად ჩაის ფოთლისა და ციტრუსების ნაყოფის კრეფაა გათვალის-

წინებული. ამ სკოლებში პრაქტიკული საწარმოო სწავლება და მწარმოებლური შრომა დაბალ დონეზე ტარდება.

შეუფერებელ სათავსოებშია მოთავსებული ქედისა და ქ. ბათუმის მე-17 საშუალო სკოლების სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები. ისინი შევსებული არაა საჭირო დგამ-ავეჯით, მოწყობილობით, ნაკლებად მარაგდებიან ნედლეულითა და დამხმარე მასალებით.

შემოწმებული სკოლებისა და საწარმოთა მიერ გამოყოფილ მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის, სწავლებაში ნაკლებად იყენებენ თვალსაჩინოებას, არ აწარმოებენ გავლილი მასალის სისტემატურ და საფუძვლიან გამეორებას, რის გამოც მოსწავლეებს არ აქვთ შესწავლილი მასალის მკვიდრი ცოდნა. ქ. ბათუმის ხის დამამუშავებელ კომბინატში გამოყოფილ სადურგლო-საავეჯო საქმის სპეციალობის თეორიის მასწავლებელმა (ი. ჩახუნაშვილი), რომელსაც საშუალო ტექნიკური განათლება აქვს, მე-2 საშუალო სკოლის IX კლასში მოსწავლეთათვის გაუგებრად, მოკლე დროში და ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე ახსნა ახალი მასალა—„მერქნის მექანიკური თვისებები". მან არ მოაგონა მოსწავლეებს საერთო ცნობები მასალათა გამძლეობიდან, მარტივი და რთული დეფორმაცია, დეფორმაციის სახეები და სხვ- ყოველივე ამის შედეგად მოსწავლეებს ბუნდოვანი წარმოდგენა დარჩათ მერქნის წინააღმდეგობაზე. ჩაქვის რაიონის გონიოს საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი მ. ნიჟარაძე) მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან მცენარის სასიცოცხლო პირობები, მინერალური ნივთიერებანი და მათი გავლენა მცენარის ზრდა-განვითარებაზე. ჩაქვის რაიონის ხალის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ფ. ბალაძე) სუსტად იციან ჩაის პლანტაციის გასაშენებლად ნიადაგის შერჩევის, სადრენაჟო ქსელის მოწყობისა და ნიადაგის დამუშავების წესები. მასწავლებელი ფ. ბალაძე მეცხოველეობის საფუძვლებს თვალსაჩინოების გარეშე, ზეპირსიტყვიერად ასწავლის მაშინ, როდესაც ბიოლოგიის კაბინეტში აქვს სათანადო ტაბულები. ასევე სუსტად ფლობს გაკვეთილის ჩატარების მეთოდიკას ქ. ბათუმის ელექტროტექნიკურ ქარხანაში მე-15 საშუალო სკოლის X კლასის სახარატო საქმის სპეციალობის თეორიის მასწავლებელი (რ. დ. ჩხეიძე) და მანქანათმშენებელი ქარხნის მე-9 საშუალო სკოლის IX კლასის მექანიკურ საამწყობო სამუშაოთა ზეინკლის სპეციალობის თეორიის მასწავლებელი (თ. ა. ჭირაქაძე). ამავე ქარხანაში უხარისხოდ ტარდება მოსწავლეთა პრაქტიკული სწავლება და მწარმოებლური

შრომა. 1-ლი საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი გ. ს. დუნდუა) სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული—„მექანიზმებისა და მანქანების აწყობის“ ნაცვლად, მეტად მარტივ ოპერაციას ასრულებდნენ (საიირო ქურის სამუშაო მაგიდას გვერდით თაროს არგებდნენ). მე-9 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ვაჟებმა სპეციალობის თეორიაში მოისმინეს ფურცლოვანი მასალის ჭრა ხელისა და ბერკეტული მაკრატლებით სწორი ხაზის გასწვრივ, რის შემდეგაც პრაქტიკული სწავლება ჩაუტარდათ პურის საცხობი ფორმების ზედაპირის გასწორებაზე ქლიბით. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ქ. ბათუმის ხის დამამუშავებელ კომბინატში.

ზოგიერთი საწარმოს მიერ გამოყოფილი სპეციალისტები და მასწავლებლები ვერ ახორციელებენ კავშირს სპეციალური მომზადების, ზოგადტექნიკურსა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს შორის, რის შედეგად მოსწავლეებს არ ეძლევათ სრულყოფილი წარმოდგენა ტექნიკური დანადგარების მთლიანობასა და ტექნოლოგიურ პროცესებზე. ქ. ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში მე-9 საშუალო სკოლის IX კლასში (მასწავლებელი დ. ა. ჭირაქაძე) ფურცლოვანი მასალის ჭრა ხელისა და ბერკეტული მაკრატლებით ახსნის დროს მოსწავლეებს არ მოაგონა ფიზიკიდან ბერკეტი, ძალის მომენტი, ბერკეტის წონასწორობის პირობები და მისი ტექნიკაში გამოყენების აუცილებლობა. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ჩაქვის რაიონის ბობოყვათის საშუალო სკოლის XI კლასში ელექტროტექნიკისა (მასწავლებელი შ. ა. ცხადაძე) და ქედის რაიონის წონიარისის საშუალო სკოლის X კლასში სასოფლო-სამეურნეო მანქანათმცოდნეობის (მასწავლებელი დ. ბარბაქაძე) გაკვეთილებზე.

შემოწმებულ ყველა სკოლაში რვაკლასდამთავრებულ მოსწავლეებს ხელზე არ ეძლევათ დამთავრების მოწმობა, რითაც ისინი მოკლებული არიან გადავიდნენ იმ სკოლების მე-9 კლასში, სადაც ისწავლება მათთვის საინტერესო სპეციალობა.

შემოწმებამ ცხადყო, რომ პროფესიების შერჩევა არ ხდება სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად. არ წარმოებს მოსწავლეთა მომზადება ისეთ პროფესიებში, როგორიცაა: კონსტრუქციების მემონტაჟე, მებათქაშე, მღებავი, ზეინკალი-სანტექნიკი, ზეინკალი-მშენებელი და სხვა.

რიგ საწარმოებში ადგილი აქვს IX—XI კლასების მოსწავლეთა სამუშაოზე გამოუცხადებლობის, დაგვიანებისა და გაპარვის შემთხვევებს. ქ. ბათუმის მე-15 სკოლის IX კლასის 14 მოსწავლე ვაჟს სასწავლო წლის პირველ მეოთხედში გაცდენილი აქვს 140 საათი

და ამავე სკოლის X კლასის 15 მოსწავლე ვაჟს კი—168 საათი 1-ლი საშუალო სკოლის X კლასის 17 მოსწავლეს 1963 წლის 1 სექტემბრიდან 26 ნოემბრამდე გაცდენილი აქვთ თეორიული სწავლება 98 საათი და პრაქტიკული საწარმოო სწავლება კი—172 საათი. ასეთივე დიდი გაცდენები აქვთ მე-2 საშუალო სკოლის IX და XI კლასების მოსწავლე ვაჟებს.

ზოგიერთ სკოლაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი საწარმოო სწავლების მასწავლებლებისადმი. სკოლის დირექტორებს, სასწავლო ნაწილის გამგეებს და სასწავლო ნაწილის გამგეებს საწარმოო სწავლების დარგში მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები საწარმოო სწავლებაში, ხოლო მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი ზოგადია და ქმედით დახმარებას ვერ უწევს მასწავლებლებს პედაგოგიური დახელოვნების საქმეში.

სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია პოლიტექნიკური მეთოდგაერთიანების მუშაობას სკოლებში. უმეტეს შემთხვევაში ისინი ფორმალურად არის შექმნილი. მათ სამუშაო გეგმებში საკითხები ზოგადია და უგულებელყოფილია საწარმოო სწავლებისა და პოლიტექნიკური ციკლის ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლების კოორდინირება.

მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებაში არსებული ნაკლოვანებები ნაწილობრივ იმის შედეგიცაა, რომ სასწავლო ნაწილის გამგეები საწარმოო სწავლების დარგში უმეტეს შემთხვევაში არ არიან სპეციალისტები. ქ. ბათუმის 24 საშუალო სკოლიდან 21 საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგეებად საწარმოო სწავლების დარგში მუშაობენ მათემატიკის, ისტორიისა და ლიტერატურის მასწავლებლები.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო, ქ. ბათუმის, ჩაქვისა და ქედის რაიონების განათლების განყოფილებები ამოწმებენ სკოლებში მოსწავლეთა პროფესიული მომზადების მიმდინარეობის მდგომარეობას, შედეგები იხილება კოლეგიისა და განათლების საბჭოს სხდომებზე, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სისტემატურად არ აწყობენ მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმებას, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ნაკლოვანებები კვლავ რჩება გამოუსწორებელი.

საწარმოო სწავლების
განყოფილების უფროსი ს. ტონია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 13 იანვრის ბრძანება № 25

## ყვარლისა და გარდაბნის რაიონებში საყოველთაო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ

საყოველთაო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების საქმეში ძალზე ცუდი მდგომარეობაა ყვარლისა და გარდაბნის რაიონებში.

ყვარლის რაიონში (განათლების განყოფილების გამგე ტ. ბეგიაშვილი) განყოფილების არაზუსტი ცნობებით, სწავლებაში არ იყო ჩაბმული სასკოლო ასაკის 171 ბავშვი, აქედან სწავლებაში ჩააბეს მხოლოდ 43 ბავშვი; სკოლიდან განთესილ ბავშვთა აღრიცხვის არასიზუსტეზე ლაპარაკობს ის, რომ მარტო შემოწმებულ 4 სასოფლო საბჭოში სკოლებში არ სწავლობს 179 სასკოლო ასაკის ბავშვი. აქედან არ სწავლობენ: კაბლის სასოფლო საბჭოში—72, ახალსოფლის სასოფლო საბჭოში—64, ჭიკაანის სასოფლო საბჭოში—29, ენისელის სასოფლო საბჭოში სასკოლო ასაკის 14 ბავშვი. საგულისხმოა, რომ 179 სასკოლო ასაკის ბავშვიდან, რომლებიც არ სწავლობენ, 53 ბავშვს სულ არ უსწავლია სკოლაში; გასულია I—IV კლასიდან 64, V—VIII კლასებიდან—82 ბავშვი, მათ შორის ავადმყოფია 17, ყრუ-მუნჯი და გონებით ჩამორჩენილია 14. განთესილ ბავშვთა ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის კაბლისა და ახალსოფლის სასოფლო საბჭოებზე, სადაც უმთავრესად აზერბაიჯანელი და ლეკი მოსახლეობაა; სწორედ ამ მოსახლეობის ბავშვთა დიდი ნაწილი არ სწავლობს სკოლებში. ლეკი ბავშვებისათვის V კლასში სწავლის გაგრძელების უზრუნველსაყოფად განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით, რომელიმე ახლომდებარე რვაწლიან სკოლასთან უნდა გახსნილიყო სასკოლო ინტერნატი, მაგრამ დღემდე ეს გადაწყვეტილება არაა შესრულებული.

ანალოგიური მდგომარეობაა გარდაბნის რაიონში (განათლე-

ბის განყოფილების გამგე გ. რაზმაძე) სკოლის გარეთაა დარჩენილი 141 ბავშვი. მათ შორის სამგორის სადაბო საბჭოში—8, ლისის სასოფლო საბჭოში—15, სოღანლუღის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე—17 ბავშვი და ა. შ.

წლების განმავლობაში არ სრულდება მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა; ასე, მაგალითად, ყვარლის რაიონში გეგმით უნდა ყოფილიყო 18.764 მოსწავლე, ფაქტიურად არის 17.967 ე. ი. 797 მოსწავლით ნაკლები. გარდაბნის რაიონში გეგმა შესრულებულია 204 მოსწავლის დანაკლისით. დიდია მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაგან ბევრი არ სწავლობს. ასე, მაგალითად, ყვარლის რაიონში 1.343 მეორეწლიანი მოსწავლიდან არ სწავლობს 190 ბავშვი.

გარდაბნის რაიონში შეუფასებელია 119 მეორეწლიანი მოსწავლე, რომლებიც განთესვის კანდიდატები არიან.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

ყვარლისა და გარდაბნის რაიონების განათლების განყოფილებებმა (ტ. ბეგიაშვილი, გ. რაზმაძე):

ა) მესამე მეოთხედის დასაწყისისათვის უზრუნველყონ სკოლასჩამოშორებულ ბავშვთა დაბრუნება სკოლაში და მათთვის სწავლებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) საჭირო დახმარება გაუწიონ ხელმოკლე ოჯახების შვილებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდიდან;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. სკოლის პედაგოგიური კოლექტივები დარაზმონ მეორეწლიანობის ლიკვიდაციისა და მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მისაღწევად;

დ) მკაცრი ზომები გაატარონ იმ სკოლის ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებას.

2. ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებამ მიიღოს ყველა ზომა სასკოლო ინტერნატების ქსელის გასაფართოებლად და იქ სწავლისა და აღზრდისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 13 იანვრის ბრძანება № 26

### ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიან სკოლებში ქიმიის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიან სკოლებში ქიმიის სწავლებას ჯეროვანი ყურადღება ექცევა და ამ სკოლების ბევრი მოწინავე მასწავლებელი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, გაკვეთილების პროცესში სისტემატურად იყენებს ცდებს, ატარებს ლაბორატორიულ გაკვეთილებს და პრაქტიკულ მეცადინეობას; სათანადო ყურადღებას აქცევს საქარხნო დანადგართა მოდელების, ტექნოლოგიური პროცესების სქემების, ქიმიური ნედლეულისა და მზა პროდუქციის გაცნობას. ბევრი სკოლა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ქიმიის სწავლებისათვის სათანადო პირობების შექმნას, ყოველწლიურად ავსებს ქიმიის ლაბორატორიას ხელსაწყო-იარაღებით, ამზადებს სათვალსაჩინო მასალებს და რაციონალურად იყენებს მათ სწავლების პროცესში. ამის შედეგად ბევრ სკოლაში მოსწავლეები ამ საგანში იჩენენ საფუძვლიან ცოდნას და კარგ პრაქტიკულ მომზადებასაც ამჟღავნებენ. კარგი მუშაობით გამოირჩევიან მასწავლებლები: ნ. ვარდიაშვილი (თბილისის I საშ. სკოლა), თ. კაჭარავა და კ. უნგიაძე (23-ე საშუალო სკოლა), თ. რობიტაშვილი (29-ე საშუალო სკოლა), ქ. ტუსკია (42-ე საშ. სკოლა), თ. კიკნაძე (53-ე საშ. სკოლა), თ. ჭოჭუა (ფოთის I საშ. სკოლა), ნ. საყვარელიძე (ქ. თელავის საშ. სკოლა), დ. აბრამიშვილი (თელავის რაიონი, რუისპირის საშ. სკოლა), თ. დახუნდარიძე (წყალტუბოს რაიონის სოფ. ფარცხანაყანევის საშ. სკოლა), ლ. ღუდუშიძე (ამბროლაურის I საშ. სკოლა), ვ. კიკვიძე (ამბროლაურის რაიონის სოფ. ჭრებალოს საშ. სკოლა), მ. გოდერძიშვილი (საგარეჯოს საშ. სკოლა) და სხვ.

მაგრამ რესპუბლიკის რიგ სკოლებში ქიმიის სწავლება ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას.

სკოლების ერთ ნაწილში ქიმიის სასწავლო ნივთები ძალზე, სუსტია, კეთილმოუწყობელია და თავისი დანიშნულებისათვის შეუფერებელი. ჯერ კიდევ სკოლების საგრძნობ ნაწილს არ აქვს გამოყოფილი ქიმიის კაბინეტისათვის ცალკე ოთახები. არის შემთხვევები, როდესაც ქიმიის ხელსაწყო-იარაღები სხვა სასწავლო მასალასთან ერთად არის ერთ ოთახში თავმოყრილი და ერთმანეთს აზიანებს. ამ მხრივ უფრო ცუდი მდგომარეობაა ბევრ რვაწლიან სკოლაში, სადაც ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის სასწავლო კაბინეტების იარაღ-მოწყობილობა ერთ პატარა ოთახში, ხშირად ერთ კარადაშია მოთავსებული.

ჯერ კიდევ მცირეა რესპუბლიკაში ისეთი საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლები, სადაც შესაძლებელი იყოს ქიმიის პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო შინაარსის ექსპერიმენტების ჩატარება. დღემდე ნელი ტემპით მიმდინარეობს ქიმიის კაბინეტების გარდაქმნა კაბინეტ-ლაბორატორიებად ძირითადი თემების ლაბორატორიული გზით დამუშავების მიზნით. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, თბილისის 28-ე,-ე 101 და სხვა საშუალო სკოლებში.

ქიმიის მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი სუსტად ფლობს ქიმიური ექსპერიმენტის ტექნიკას და ამავე დროს ნაკლებად ზრუნავს ამ ხარვეზის გამოსწორებაზე. ხშირად მოწინავე სკოლებშიც კი ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რომ ქიმიის მასწავლებლები სათანადოდ ეუფლებოდნენ საწარმოო პროცესების ამსახველი ექსპერიმენტების ჩატარების პრაქტიკას. ამის შედეგად ქიმიის გაკვეთილებზე ბატონობს სახელმძღვანელოს ტექსტის თხრობა, რასაც შედეგად სდევს ის, რომ მოსწავლეები კონკრეტულ წარმოდგენას ვერ იძენენ სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში ქიმიის როლის შესახებ (სოფ. დიღმის საშუალო სკოლა—მასწ. ვ. ანთაძე, თბილისის გახანგრძლივებული დღის—II საშუალო სკოლა—მასწავლებელი—ნ. ნონიკაშვილი) და სხვ.

სკოლების დიდ ნაწილში უგულებელყოფილია და ნაკლები ყურადღება ექცევა საშინაო დავალებათა სახით ამოცანების ამოხსნაზე ვარჯიშს; იშვიათად ტარდება საწარმოო ექსკურსიები სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოში და უფრო იშვიათად—კინოს გამოყენება გაკვეთილზე. მაგალითად, კინოაპარატი გამოუყენებელია ქ. თბილისის 36-ე საშუალო სკოლაში, ავჭალის, წყნეთის, თიანეთის, მარტყოფის სკოლებში და სხვ.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი ქიმიის სასკოლო კურსს აუბრალოებს, პროგრამის მეტად მნიშვნელოვან ზოგიერთ საკითხს ზერელედ ასწავლის. ეს პირველ რიგში ითქმის ნაერთების სტრუქტურული წარმოდგენის, ნაერთთა ძირითადი კლასების ელექტრონული აღნაგობის მიდგომით განხილვის, ნაერთთა ფორმულებისა და ტოლობების შედგენისას ემპირიული ფორმულებიდინ ცალკეული ელემენტის ვალენტობის განსაზღვრისა და ზოგიერთი სხვა საკვანძო საკითხის სწავლების შესახებ.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ქიმიის გაკვეთილებზე, კერძოდ, თანამედროვე ქიმიური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხების გაშუქებას პროგრამულ მასალასთან დაკავშირებით, რაც პირველი რიგის ამოცანად არის დასახული პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ.

ჯერ კიდევ სუსტია ქიმიის სწავლების დაკავშირება ისეთ მონათესავე საგნებთან, როგორიცაა ფიზიკა, ბიოლოგია, სოფლის მეურნეობის საფუძვლები და სპეციალური ციკლის სხვა საგნები.

მასწავლებელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იყენებს ქიმიის პროგრამულ თემებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებისა და ათეისტური აღზრდისათვის.

სკოლების საკმაოდ დიდ ნაწილში სწორად არ არის ორგანიზებული გამეორება, ახალი მასალა ბუნებრივად არ უკავშირდება გავლილ მასალას.

დაბალ დონეზეა კლასგარეშე მუშაობა ქიმიაში, ნორჩ ქიმიკოსთა წრეების სამუშაო გეგმებში გათვალისწინებული საკითხები მეტწილად თეორიული ხასიათისაა, არ მოიცავს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საკითხებს და სუსტია ამ დარგში მოსწავლეთა დაინტერესება.

ქიმიის სწავლების გაუმჯობესების საქმეს მნიშვნელოვნად უშლის ხელს ის გარემოებაც, რომ ამჟამად მოქმედი უნიფიცირებული ქიმიის სახელმძღვანელოები ვერ ასახავენ ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეებს და სამრეწველო ობიექტებს, რის გამო მოსწავლეები უშუალო გარემოს სათანადოდ ვერ ეცნობიან.

ყოველივე ეს იწვევს სქემატიზმს ქიმიის სწავლებაში, ხელს უშლის მოსწავლეებში მისწრაფების გამომუშავებას ქიმიის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისადმი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქიმიის მასწავლებლებმა:

ა) საფუძვლიანად შეისწავლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მასალები და ამ პლენუმის დადგენილების საფუძველზე მკვეთრად გარდაქმნან ქიმიის სწავლება; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების საქმეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში;

ბ) იზრუნონ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებაზე; ბეჯითად მოემზადონ თითოეული გაკვეთილისათვის; უზრუნველყონ გაკვეთილზე ჩასატარებელი ექსპერიმენტის უნაკლოდ შესრულება; გაითვალისწინონ და წესრიგში მოიყვანონ სათვალსაჩინო მასალა, რათა გაუადვილონ მოსწავლეებს შესასწავლი საკითხების მტკიცედ შეთვისება;

გ) განსაკუთრებული ყურადღებით ამოხსნან გაკვეთილებზე ტიპიური საწარმოო შინაარსის ამოცანები და დაავალონ მოსწავლეებს მსგავსი ამოცანების ამოხსნა, საშინაო დავალების სახით, შესწავლილი მასალის გააზრებულად ათვისებისა და ცოდნის განმტკიცების მიზნით;

დ) იზრუნონ პროგრამაში მითითებული სადემონსტრაციო, ლაბორატორიული ცდებისა და პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისათვის, მტკიცედ აათვისებინონ მოსწავლეებს სასწავლო მასალა, ხელი შეუწყონ ქიმიური ხელსაწყოების, ჭურჭლისა და რეაქტივების გამოყენების საქმეში სათანადო ჩვევების გამომუშავებასა და დანერგვას;

ე) სწავლების პროცესში მიაღწიონ შესწავლილი მასალის დაკავშირებას ქიმიური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საკითხებთან;

ვ) იზრუნონ ქიმიის პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო ექსკურსიების მოწყობაზე მასწავლებლის მიერ საექსკურსიო ობიექტის წინასწარი გაცნობით; საწარმოს ტექნოლოგის დახმარებით აითვისონ წარმოების არსი და ექსკურსიის დროს თვითონვე გააცნონ მოსწავლეებს სათანადო ტექნოლოგიური პროცესის შინაარსი, მიღებული პროდუქცია და მისი გამოყენება სახალხო მეურნეობაში. ჩატარებული ექსკურსიის შედეგები განიხილონ ქიმიის მომდევნო გაკვეთილებზე და მოაწყონ შესაფერი სტენდები;

ზ) მიზანშეწონილად ჩაითვალოს სოფლის სკოლებში ნორჩ ქიმიკოსთა წრეს მიეცეს აგროქიმიური განხრა, რასაც საფუძვლად დაედება მეურნეობაში მინერალური სასუქების გამოყენებისა და მცენარეთა მავნებლების საწინააღმდეგო ბრძოლის წესების პრაქტიკული გაცნობა;

თ) იზრუნონ იმისათვის, რომ ნორჩ-ქიმიკოსთა წრეებში გაერთიანებული მოსწავლეების მუშაობის მთავარ ამოცანას შეადგენდეს საწარმოო დანადგართა მოქმედი მოდელების კონსტრუირება, მარტივი ანალიზების შესრულება, ამასთანავე მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის გამოყენებით რეფერატების დამზადება და წაკითხვა ქიმიის როლის შესახებ სახალხო მეურნეობის აჩქარებული განვითარების საქმეში;

ი) მოაწესრიგონ ნორჩ ქიმიკოსთა წრის მიერ კედლის გაზეთის პერიოდულად გამოშვება, რომელშიც უნდა ქვეყნდებოდეს მოკლე ცნობები ქიმიური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის მიღწევათა შესახებ.

2. რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ ქიმიის კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა (სპეციალური ოთახის გამოყოფა, დგამ-ავეჯის შეძენა, საჭირო აპარატურით, ჭურჭლითა და რეაქტივებით მომარაგება და სისტემატურად შევსება;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ ქიმიის კაბინეტის მუშაობა (აპარატურის, ხელსაწყოების, რეაქტივების წესიერად მოვლა-პატრონობა) აგრეთვე—ქიმიის მასწავლებელთა მუშაობა გაკვეთილებზე, პრაქტიკული მუშაობის დროს და გაუწიონ მათ საჭირო დახმარება.

3. განათლების განყოფილებების გამგეებმა;

ა) უზრუნველყონ სკოლებზე ხელმძღვანელობა და კონტროლი ქიმიის სწავლების დარგში სკკპ დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად;

ბ) სისტემატურად და საფუძვლიანად შეისწავლონ ქიმიის სწავლების მდგომარეობა სკოლებში და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი ქიმიის სწავლების იდეოლოგიურ-თეორიული და მეთოდური დონის ამაღლებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქიმიის კაბინეტების მოწყობა-შევსებას და სწავლების პროცესში მათ სისტემატურ გამოყენებას;

გ) მიიღონ სათანადო ზომები, რათა პედაგოგიური კაბინეტები ქმედით დახმარებას უწევდნენ ქიმიის მასწავლებლებს დეკემბრის პლენუმის მიერ სკოლის წინაშე დასახულ ახალი ამოცანების განხორციელებისათვის;

დ) პერიოდულად მოისმინონ განათლების საბჭოებზე საკითხი ქიმიის სწავლების შესახებ.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (დირექტორი თ. ზახაშვილი):

ა) ქიმიის მასწავლებელთა დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმასა და პროგრამებში შეიტანოს სათანადო ცვლილებები დეკემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად;

ბ) დაამზადოს დასაბეჭდად ქიმიის საპროგრამო თემების სწავლების შესახებ მეთოდური წერილები ქალაქისა და სოფლის ტიპის სკოლებისათვის.

5. განათლების სამინისტროს სათვალსაჩინო ხელსაწყოების ბაზამ (დირექტორი დ. კომლაძე) უზრუნველყოს რვაწლიანი და საშუალო სკოლები საჭირო ქიმიური ხელსაწყოებით, ჭურჭლითა და რეაქტივებით.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 14 იანვრის ბრძანება № 28

### სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 29 მაისის № 435 ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 1963—64 სასწავლო წლისათვის სკოლები უზრუნველყოფილი იყო სახელმძღვანელოებით და პროგრამებით ქართულ და რუსულ ენებზე. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზით კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გადამზადდა 100 მასწავლებელი, ამავე ინსტიტუტმა სათანადო ღონისძიებანი გაატარა სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა მუშაობაზე მეთოდური დახმარების გაწევის მიზნით. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ შეიძინა 96.000 მან. ღირებული სამოქალაქო თავდაცვის ქონება, რომელიც სკოლებს დაეგზავნა. 1964 წლის 1-ლი იანვრისათვის სკოლებთან მოწყობილია სამოქალაქო თავდაცვის 498 კაბინეტი.

რესპუბლიკის ქალაქების: რუსთავის, ზესტაფონის, ტყიბულის და რაიონების: ამბროლაურის, გორის, ზუგდიდის, ყვარლის, თელავის, წყალტუბოს განათლების განყოფილებები სერიოზულად მოეკიდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 29 მაისის № 435 ბრძანების შესრულებას „სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების მდგომარეობის შესახებ“.

ზემოაღნიშნულ განათლების განყოფილებებში გამოყოფილია სასკოლო ინსპექტორები, რომლებსაც დავალებული აქვთ ამ საგნის ხელმძღვანელობა. აღნიშნული რაიონების, ქალაქების თითქმის ყველა საშუალო სკოლასთან მოწყობილია სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტები, მოსწავლეებს შეძენილი აქვთ სამოქალაქო თავდაცვის სახელმძღვანელოები.

ხსენებული განათლების განყოფილებები სისტემატურად ზრუ-

ნავენ სამოქალაქო თავდაცვის სწავლებისათვის ნორმალური პი-რობების შექმნაზე.

ეროვნული

მაგრამ ზოგიერთმა განათლების განყოფილებამ (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახალქალაქის, გეგეჭკორის, დუშეთის, მაიაკოვსკის, საჩხერის) ქმედითი ღონისძიებები არ გაატარა ზემოაღნიშნული ბრძანების შესასრულებლად, რის შედეგად დასახელებული რაიონების სკოლებში დღემდე აღდგენილი არაა სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტები, სუსტია ამ სკოლების სამოქალაქო თავდაცვის სასწავლო-მატერიალური ბაზები. აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელობა სამოქალაქო თავდაცვის სწავლებისადმი ჯერ-ჯერობით არადამაკმაყოფილებელია.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი სამოქალაქო თავდაცვის საქმეს არ ეკიდება მთელი პასუხისმგებლობით, ისინი არ ესწრებიან (არ ისმენენ) სამოქალაქო თავდაცვის გაკვეთილებს, არ ზრუნავენ სკოლებში სანიტარული რაზმეულების ფორმირებათა სათანადო მომზადებისათვის.

ქ. თბილისის 48-ე საშუალო სკოლაში 1963—1964 სასწავლო წლის პირველ და მეორე მეოთხედებში სამოქალაქო თავდაცვა არ ისწავლებოდა, ხოლო 69-ე და 96-ე საშუალო სკოლებში ადგილი აქვს ჩამორჩენას საპროგრამო მასალის გავლაში.

ძალზე დაბალ პედაგოგიურ დონეზე ტარდება სამოქალაქო თავდაცვის გაკვეთილები ბოლნისის, გარდაბნის, მაიაკოვსკის რაიონების ბევრ სკოლაში. აღნიშნული რაიონების სკოლებს არ გააჩნიათ ტაბელით გათვალისწინებული სასწავლო იარაღებისა და ქონების მინიმუმიც კი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების ჯეროვნად დაყენებისათვის;

ბ) უზრუნველყონ სკოლები ტაბელით გათვალისწინებული საჭირო ინვენტარით, ქონებითა და სასწავლო ლიტერატურით;

გ) მითითება მისცენ სკოლებს, რათა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 9 ივლისის № 556 ბრძანების შესაბამისად სათანადო გასამრჯელო გადაუხადონ სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტის გამგეებს.

დ) შექმნან კომპლექსური კომისიები დოსააფის, სამოქალაქო თავდაცვის შტაბისა და წითელი ჯვრის კომიტეტების წარმომად-

გენლების მონაწილეობით, შეამოწმონ სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების მდგომარეობა, შედეგები მოისმინონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და მიღებული დადგენილება გადმოუგზავნონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 25 თებერვლამდე.

2. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე):

ა) გულდასმით შეისწავლოს თბილისის 48-ე საშუალო სკოლაში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების ჩაშლის მიზეზები და სათანადო ადმინისტრაციული სასჯელი დაადოს დამნაშავე პირებს;

ბ) სასწავლო წლის დამთავრებამდე უზრუნველყოს 48-ე, 69-ე და 96-ე საშუალო სკოლებში სამოქალაქო თავდაცვის პროგრამის სრულად გავლა.

3. სკოლების დირექტორებმა:

ა) სასწავლო ნაწილის გამგეებთან ერთად გააძლიერონ კონტროლი სამოქალაქო თავდაცვის სწავლებისადმი, სათანადო მეთოდური დახმარება გაუწიონ მასწავლებლებს და შექმნან ნორმალური პირობები ამ საგნის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

ბ) სრულ წესრიგში მოიყვანონ სკოლის სამოქალაქო თავდაცვის კაბინეტები, შეავსონ საჭირო სასწავლო იარაღებით, ქონებითა და ლიტერატურით.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი):

ა) სისტემატური მუშაობა აწარმოოს სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებლებთან, მათი სპეციალური ცოდნის ამაღლებისა და სწავლების მეთოდების სრულყოფის მიზნით;

ბ) კვალიფიკაციის ამაღლების კურსების 1964 წლის გეგმაში გაითვალისწინოს სამოქალაქო თავდაცვის 100 მასწავლებლის გადამზადება.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 10 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 15 იანვრის ბრძანება № 36

### ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის მუშაობაში ერთგვარი მიღწევების მიუხედავად შეიმჩნევა სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი. რიგი საგნების სწავლება დაბალ დონეზეა დაყენებული, ასე, მაგ. მასწავლებელი ბ. ბუაძე ცუდად ასწავლის რუსულ ენას მეორე კლასში, იგი ვერ ფლობს ენას, უშვებს უხეშ შეცდომებს, გაკვეთილების გეგმები შედგენილი აქვს უწიგნურად. სათანადო სიმაღლეზე არ დგას არითმეტიკის სწავლება IV კლასში (მასწავლებელი მ. სანიტაშვილი) მოსწავლეებმა არ იციან სახელდებული რიცხვების დაშლა და გადაქცევა, ისინი საპროგრამო მასალის უცოდინარობას ამჟღავნებენ არითმეტიკაში. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული რუსული ენის სწავლება VII კლასში. მოსწავლეებმა არ იციან მეტყველების ნაწილები, ვერ არჩევენ წინადადებაში მთავარ და მეორეხარისხოვან წევრებს, ძალზე სუსტად იციან ბრუნება და სხვ.

დაბალია აღსაზრდელთა აკადემიური წარმატება. პირველ მეოთხედში 228 შეფასებული მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 48; სამ და მეტ საგანში ჩამორჩება 31 მოსწავლე.

სათანადო ყურადღება არ ექცევა საკლასო ჟურნალების წარმოებას. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს მ. ჩანადირს, ლ. ხოხაშვილს და სხვებს საკლასო ჟურნალებში არ შეაქვთ მოსწავლეთა მიმდინარე შეფასების ნიშნები. არაა დაცული წერითი სამუშაოების ნორმები და სახეები. საკონტროლო ნაწერების შემოწმების დროს ყურადღება არ ექცევა ორთოგრაფიული და სტილისტური ხასიათის შეცდომების გასწორებას.

სკოლა-ინტერნატის დირექტორსა და სასწავლო ნაწილის გამგეს მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები. უფ-

როსი აღმზრდელი ვ. ქემოკლიძე არ უწევს სათანადო დახმარებას და ხელმძღვანელობას აღმზრდელების მუშაობას.

სკოლა-ინტერნატში ჩაშლილია პიონერთა ორგანიზაციის მუშაობა. დღემდე არაა ჩამოყალიბებული მზრუნველთა საბჭო და არაა გამოყოფილი საშეფო ორგანიზაცია.

სკოლა-ინტერნატს არ აქვს საკმაო რაოდენობით მაგარი და რბილი ინვენტარი. აკლიათ კარადები, „ტუმბოჩკები", სკამები, საბნები, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი და სხვ. სკოლა-ინტერნატს არ გააჩნია კეთილმოწყობილი სამრეცხაო და აბანო, მოუწესრიგებელია ელექტრომეურნეობა, ავარიულ მდგომარეობაშია მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი.

სკოლა-ინტერნატის ზოგიერთ თანამშრომელს შორის არაჯანსაღი განწყობილებაა. ადგილი აქვს კინკლაობას, მითქმა-მოთქმას. ხელმოწერილი და ხელმოუწერელი წერილები იგზავნება ზემდგომ ორგანოებში.

სკოლა-ინტერნატის ყოფილი დირექტორის ა. წერეთლის დირექტორად მუშაობის პერიოდში დამხმარე მეურნეობა ვერ ასრულებდა გეგმებს, მოუვლელობის შედეგად დიდი რაოდენობით გახმა ვაშლისა და მსხლის ნაყოფის მომცემი ხეები, სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები სარგებლობენ აღსაზრდელთა კუთვნილი რბილი ინვენტარით. ადგილი ჰქონდა ინტერნატის დირექტორის მიერ თანამშრომელთა კუთვნილი ღორების შესყიდვის შემთხვევებს.

სკოლა-ინტერნატის სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგემ ს. ზიბზიბაძემ აიძულა საგამოცდო კომისიის წევრები შ. ავაზაშვილი და ბ. მიქაშვილი მისი შვილისათვის (მე-5 კლასის მოსწავლე) არითმეტიკაში ნიშანი „4" გადაესწორებინათ „5"-ზე. ამ საქმესთან დაკავშირებით იგი უხეშად მოეპყრო საგამოცდო კომისიის წევრებს და დახია საგამოცდო ოქმი.

სკოლა-ინტერნატის ადგილკომის თავმჯდომარეს შ. მონასელიძეს სკოლა-ინტერნატიდან წაღებული აქვს პირადი საჭიროებისათვის არასტანდარტული აგური.

სკოლა-ინტერნატში ადგილი ჰქონდა აღმზრდელების თ. კოვზირიძისა და შ. ახვლედიანის მიერ აღსაზრდელთა ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის დირექტორს ვ. თავზარაშვილს უახლოეს დროში უზრუნველყოს ამ

ბრძანებასა და ნარკვევ მასალებში აღნიშულ ნაკლოვანებათა გამოსწორება და მის მიერ მიღებული ზომების შესახებ მოხსენებით წარმოდგენა 1964 წლის 1 აპრილამდე.

2. ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის ყოფილ დირექტორს (ამჟამად გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორს) ა. წერეთელს სკოლა-ინტერნატის მუშაობაში სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებათა დაშვებისათვის გამოეცხადოს საყვედური.

3. ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგეს ს. ზიბზიბაძეს თავისი შვილის ნიშნის აწევის მიზნით საგამოცდო კომისიაზე ზეგავლენის მოხდენისა და სკოლა-ინტერნატის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ აღმზრდელები თ. კოვზირიძე და შ. ახვლედიანი აღსაზრდელთა ფიზიკური შეურაცხყოფისათვის მოხსნილი არიან სამუშაოდან.

5. ეთხოვოს უმაღლესი სკოლის, განათლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს შეისწავლოს ბეთანიის სანატორიული სკოლა-ინტერნატის ადგილკომის მუშაობა და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

6. ამ ბრძანებისა და ნარკვევი მასალების ადგილზე გაცნობას და სათანადო ღონისძიებების გატარებას ვავალებ ჩემს მოადგილეს ამხ. ი. გ. ბეროზაშვილს და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსს ამხ. ვ. ი. ჩინჩალაძეს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 10 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 16 იანვრის ბრძანება № 37

### მაიაკოვსკისა და საჩხერის საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

როგორც მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ერთგვარ მიღწევათა მიუხედავად, აქვთ მეტად სერიოზული, არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები.

ამ რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს საკუთარი მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად, გულმოდგინედ არ ემზადება გაკვეთილებისათვის, საჭირო აღმზრდელობით მუშაობას არ ატარებს მოსწავლეთა შორის, არ ახორციელებს ღონისძიებებს მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის ერთიანი პროცესის ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად, რის გამო არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა მომზადება ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში.

სკოლების ხელმძღვანელები—დირექტორები და სასწავლო ნაწილის გაამგეები სისტემატურ ქმედით დახმარებას და კონტროლს არ ახორციელებენ მასწავლებელთა მუშაობაზე.

საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების წინაშე დასმული ახალი ამოცანების განსახორციელებლად საკმაო ღონისძიებებს არ ატარებენ მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებები (ამხ. ამხ. ვ. გიორგობიანი და გ. სადუნაშვილი).

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მაიაკოვსკისა და საჩხერის საღამოს (ცვლის) ზოგადსაგან-

მანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი, სათანადო ღონისძიებათა გატარების მიზნით, განხილულ იქნეს რესპუბლიკის ყველა საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

2. სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო საჩხერის რაიონის მერჯევის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს მ. მიქაძეს გამოეცხადოს საყვედური და გაფრთხილებულ იქნეს, რომ თუ უახლოეს მომავალში არ გააუმჯობესებენ მუშაობას, მის მიმართ უფრო მკაცრი ზომები მიიღება.

3. მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის სკოლის დირექტორს ა. რობაქიძეს, მაიაკოვსკის რაიონის ვანისა და ობჩის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებს მ. გოგოძეს, გ. სირბილაძეს და საჩხერის რაიონის სარეკის მუშა ახალგაზრდობის სკოლის დირექტორს გ. ნასარიძეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გამო მიეთითოთ.

4. საჩხერის რაიონის მერჯევის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებლებს პ. ქავთარაძეს (ქართული ენა და ლიტერატურა) და ს. აბუთიძეს (ქიმია-ბიოლოგია), საგნის სწავლებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, გამოეცხადოთ საყვედური და გაფრთხილებულ იქნენ, რომ თუ მომავალში არ გამოასწორებენ მათ მიერ დაშვებულ შეცდომებს და არ გააუმჯობესებენ ამ საგნების სწავლებას, განთავისუფლებული იქნებიან სამუშაოდან.

5. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენების გამო მიეთითოთ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს—ქ. ქემერტელაძეს და მ. ვეშაპიძეს (მერჯევის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), თ. ვაშაკიძეს და ვ. აბრამიშვილს (სარეკის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), მ. ლომიძეს (ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა), ლ. ბურჯანაძეს (ობჩის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს—გ. ბურულს (ობჩის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა), ს. პეტრიაშვილს (სარეკის მუშა ახალგაზრდობის სკოლა) და ს. კორძაძეს (ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა); მათემატიკის მასწავლებლებს—ლ. ბელთაძეს (ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა), ჯ. ადამიას (მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის სკოლა) და შ. ღვა-

ლაძეს (ობჩის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა); ქიმიის მასწავლებელს—ნ. გიორგაძეს (წითელხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა); ბიოლოგიის მასწავლებელს—მ. ბასილაძეს (მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), ისტორიის მასწავლებელს—ე. სოსელიას (ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) და გეოგრაფიის მასწავლებელს—ლ. ნადარეიშვილს (ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა).

6. მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ვ. გიორგობიანმა და გ. სადუნიშვილმა):

ა) პირადად შეისწავლონ საღამოს სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის მდგომარეობა და მიიღონ სათანადო ზომები;

ბ) გადაჭრით გააძლიერონ საღამოს (ცვლის) სკოლებისადმი დახმარება, ხელმძღვანელობა, კონტროლი და ა/წ 20 ივნისამდე მოახსენონ განათლების სამინისტროს მათ მიერ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

7. მეთვალყურეობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე განახორციელოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ (ამხ. რ. კანდელაკმა).

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 10 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

## მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ სასკოლო ინსპექტორების ს. ღ. დვალის (ხელმძღვანელი), ვ. ყ. ტუღუშის, ზ. ი. რატიშვილის, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის მეთოდისტების თ. ა. ბისეიშვილის, თ. ა. გოდაბრელიძისა და შ. ს. ნაცვლიშვილის შემადგენლობით მიმდინარე წლის 9-დან 19 დეკემბრამდე შეისწავლა მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. შესწავლილ იქნა მაიაკოვსკის რაიონის დაბა მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის, დაბა ვანის, წითელხევისა და ობჩის სოფლის ახალგაზრდობის, საჩხერის რაიონის დაბა საჩხერის, სარეკისა და მერჯევის მუშა ახალგაზრდობის სკოლების მუშაობა.

აღნიშნული რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში შეინიშნება ერთგვარი წარმატებანი. სკოლების დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებელთა ერთი ნაწილი მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება მინდობილ საქმეს, სისტემატურად მუშაობს საკუთარი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეცნიერული დონის ასამაღლებლად.

საღამოს (ცვლის) სკოლების მუშაობის სპეციფიკური პირობებისადმი შემოქმედებით მიდგომას იჩენენ და გარკვეული მიღწევები აქვთ დაბა საჩხერის მუშა ახალგაზრდობისა (დირექტორი ქ. ქამუშაძე, სასწავლო ნაწილის გამგე რ. გელბახიანი) და მაია-

კოვსკის რაიონის წითელხევის (დირექტორი გ. მინაძე) სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს.

მაიაკოვსკის რაიონში შესრულებულია საღამოს (ცვლის) სკოლებისა და კონტინგენტის გეგმა: 1963/64 სასწავლო წელს უნდა მუშაობდეს სოფლის ახალგაზრდობის 8 სკოლა 34 კლასით და 472 მოსწავლით, ფაქტიურად მუშაობს 8 სკოლა; რომლის 36 კლასში 500 ახალგაზრდა სწავლობს; რაიონში გეგმით უნდა იყოს მუშა ახალგაზრდობის ერთი სკოლა, 9 კლასით და 164 მოსწავლით. ფაქტიურად მუშაობს ერთი სკოლა აგრეთვე 9 კლასით, რომელშიც 173 მოსწავლეა.

საჩხერის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში ჯეროვანი ყურადღება ექცევა სასკოლო მუშაობის დაგეგმვას, სკოლასა და წარმოება-დაწესებულებებს შორის საქმიანი კავშირის დამყარებას, მოსწავლეთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, კონტროლის, დახმარებისა და ხელმძღვანელობის განხორციელებას მასწავლებელთა მუშაობაზე, სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას და სხვ.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში გამოვლინდა სერიოზული, არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

შესწავლილი სკოლების ერთ ნაწილში საკმაო ყურადღება არ ექცევა სასკოლო მუშაობის დაგეგმვას: საღამოს სკოლების წლიური სამუშაო გეგმები თითქოს არაფრით განსხვავდება მასობრივი სკოლების გეგმებისაგან, მათში, უარეს შემთხვევაში ან საერთოდ არ ჩანს ამ ტიპის სკოლების მუშაობის სპეციფიკა, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, იგი ძალიან მკრთალად არის წარმოდგენილი. კიდევ მეტიც: ზოგჯერ გეგმის ქვესათაურის გაუაზრებლობასთანაც გვაქვს საქმე; ასე, მაგალითად, ნაცვლად სათაურისა „მასწავლებლებთან მუშაობა", უწერიათ „მასწავლებელთა მუშაობა". ამიტომ, ბუნებრივია შესასრულებლად არ არის გათვალისწინებული ქვეთავის შინაარსისათვის საჭირო, აუცილებელი საკითხები. გეგმებში შესასრულებელი საკითხები ზოგადად, არასწორად, გეგმისათვის შეუფერებელი სტილით არის ფორმულირებული. მაიაკოვსკის რაიონის ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში ვკითხულობთ: „სწავლებაში პოლიტექნიზმის დანერგვასთან დაკავშირებით ადგილი არ ექნეს გაკვეთილების ჩატარებას საჭირო იარაღ-ხელსაწყოების გარეშე..." სხვა ადგილას აღნიშნულია, რომ „სწავლებაში ფორმალიზმის აღმოსაფხვრელად დაწესდეს კონტროლი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე". სრუ-

ლიად არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება მეთვალყურეობა გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმებიც.

ზოგან ჯეროვან სიმაღლეზე არ დგას სკოლის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს—პედაგოგიური საბჭოს მუშაობა: სამუშაო გეგმები მოუფიქრებლად არის შედგენილი, საკითხები ზერელედ, საქმის ღრმა ანალიზის გარეშე განხილული, რის გამოც დასახული ღონისძიებანიც არასაკმაოა. პედაგოგიური საბჭოს საოქმე წიგნები ზონარგაუყრელია, დაუნომრავი, ჩანაწერები კი ენობრივად გაუმართავი. მათში ასეთი წინადადებები გვხვდება: „დაევალოს კლასის ხელმძღვანელებს განსაკუთრებული ღონისძიებანი გაატარონ მოსწავლეთა შორის აკადემიურად ზრდისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის...“ (მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის სკოლა); „აღნიშნული კლასის მოსწავლეები უმთავრესად არიან მოსული წარმოება-დაწესებულებებიდან, რომლებიც მთელი დღე მუშაობენ და ღამით კი ჩვენთან სწავლობენ“ (ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) და სხვ.

მოუთმენელ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი სკოლებში გაკვეთილების ცხრილის შედგენაში: დაბა ვანის სოფლის ახალგაზრდობისა (დირექტორი მ. გოგოძე) და საჩხერის რაიონის სარეკის მუშა ახალგაზრდობის (დირექტორი გ. ნასარიძე) სკოლებს არა აქვთ შედგენილი კონსულტაციებისა და ფაკულტატური მეცადინეობის ცხრილები; საჩხერის რაიონის მერჯევის მუშა ახალგაზრდობის სკოლის (დირექტორი მ. მიქაძე) ცხრილში წერია „ბუნება“, „ბიოლოგია“. საგნის მასწავლებელს ვერ გაურკვევია, რომელ კლასში რა საგანი ასწავლოს. ამის გამო, VI კლასში ზოოლოგიის ნაცვლად ასწავლის ბოტანიკას, VII კლასში ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიის ნაცვლად—ზოოლოგიას, IX კლასში კი ზოგადი ბიოლოგია დარვინიზმის საფუძვლებით შეუცვლია.

მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში (დირექტორი კ. რობაქიძე) მეცადინეობა ნაცვლად ოთხი დღისა წარმოებს ხუთ დღეს.

ზემოხსენებული რაიონების საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში არ არის შექმნილი საგნობრივი მეთოდური გაერთიანებანი, ამას ის გარემოებაც უშლის ხელს, რომ ისეთ საგნებშიც კი, როგორიცაა ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, სკოლაში მხოლოდ ორ-

ორი მასწავლებელია. ამნაირ ვითარებაში უნდა შექმნილიყო სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებანი, მაგრამ, სკოლების ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორების გამო, ამ უკანასკნელზე ხელი აუღიათ. ამ შემთხვევაში უნდა გაძლიერებულიყო ცალკეულ მასწავლებელთა მიერ ინდივიდუალური მუშაობა საკუთარი პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მეტი ადგილი დაეთმობოდა ღია გაკვეთილებს და სხვა, მაგრამ არც ამ სახის მუშაობა ტარდება, ამასთან, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ტიპის სკოლების მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობის გაშლისათვის არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ განათლების განყოფილებათა პედაგოგიური კაბინეტებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საჩხერის რაიონის პედკაბინეტი გამგე (ლ. ადამია). მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ხაზით პედკაბინეტს თავის სამუშაო გეგმაში არავითარი ღონისძიება არ აქას გათვალისწინებული. საღამოს სკოლების მასწავლებელთათვის აქ არ არის შექმნილი მეთოდური სექციები, არ წარმოებს მასწავლებელთათვის პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურის შეძენა და სხვ. ასე, მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის საკითხებზე გამოცემული მრავალი მონოგრაფიიდან პედკაბინეტს არც ერთი არ აღმოაჩნდა. ასეთივე მდგომარეობაა სხვა საგნებშიც. პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურა ვერც სხვა გზით აღწევს მასწავლებლებამდე. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მეთოდური მუშაობა სკოლებში თითქმის სრულიად მივიწყებულია, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს, რომელთაც აქვს ადგილი ცალკეული საგნების სწავლებაში.

ზოგ სკოლაში სრულიად მოუგვარებელია სასკოლო დოკუმენტაცია: წესრიგში არაა მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, უდიერად არის ნაწარმოები საკლასო, აგრეთვე მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისა და ყოფაქცევის ჟურნალები, ზოგან სრულიად არა აქვთ სკოლის დღიური და სხვ. ასე, მაგალითად, ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VIII კლასის მოსწავლეებს ლ. ჯ.-ს და ე. ა-ს პირად საქმეში არავითარი საბუთი არ აღმოაჩნდათ. ასევე საბუთების გარეშეა ჩარიცხული ობჩის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის (დირექტორი გ. სირბილაძე) XI კლასში მოსწავლეები ვ. ს. და მ. მ., VIII კლასში—ჯ. მ სათანადო ინსტრუქციის დარღვევით არიან ჩარიცხული მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის სკოლის XI კლასში მოსწავლეები დ. ა., ო. ა. და ი. ა.

საჩხერის რაიონის სარეკისა და მერჯევის მუშა ახალგაზრდო-

ბის სკოლებში ზოგჯერ საკლასო ჟურნალებში არ არის შეტანილი/ დამუშავებული მასალა, დაუჯამებელია მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა და სხვ.

შესწავლილ სკოლებში ადგილი აქვს სასწავლო მეცადინეობაზე არასაპატიო მიზეზით მოსწავლეთა სრულიად გამოუცხადებლობის ან დაგვიანებით გამოცხადების ხშირ შემთხვევებს.

ა/წ 16 დეკემბერს სარეკის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში 60 მოსწავლიდან მეცადინეობაზე გამოცხადდა მხოლოდ 32.

მაგრამ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა იყო ზოგ კლასში; ასე, მაგალითად, VIII კლასის 7 მოსწავლიდან პირველ გაკვეთილზე ესწრებოდა მხოლოდ 3, მაგრამ აქედანაც გაიპარა 2 მოსწავლე.

სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არასაკმაო აღმზრდელობით მუშაობას ეწევიან სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა შორის, რის გამო ხშირია სკოლიდან მოსწავლეთა განთესვის შემთხვევები: სასწავლო წლის დაწყებიდან დღემდე მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის სკოლას ჩამოსცილდა 13 მოსწავლე, სარეკის სკოლას 7 მოსწავლე და ა. შ.

თითქმის ყველა შესწავლილ სკოლას აქვს კაბინეტ-ლაბორატორიებით და თვალსაჩინო მასალებით სარგებლობის საშუალება, მაგრამ ამ მხრივ ერთ გამონაკლისთან გვაქვს საქმე: საჩხერის რაიონის სარეკის მუშა ახალგაზრდობის სკოლა, რომელიც მიმდინარე სასწავლო წლიდან დაარსდა, მუშაობს 8 წლიანი მასობრივი სკოლის ბაზაზე. ამის გამო, მას სრულიად არა აქვს ზედა კლასებში ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვ. საგნების სწავლებისათვის საჭირო კაბინეტ ლაბორატორიები და თვალსაჩინო მასალები. ეს გარემოება უნდა გაითვალისწინოს განათლების განყოფილებამ, მისმა პედაგოგიურმა კაბინეტმა და, რამდენადაც მათ ობიექტურად ამის საშუალება ექნებათ, გამოუყონ სკოლას საჭირო, აუცილებელი მოწყობილობა.

სკოლები არასაკმაო მუშაობას ატარებენ ადგილობრივ პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან, არ აინტერესებენ მათ სკოლაში მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდობის სწავლით, მათი კულტურულ-ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ამაღლების საკითხებით. არც აღნიშნული რაიონის განათლების განყოფილებებთან და არც თვითონ სკოლებთან არ არის შექმნილი საღამოს სკოლების დასახმარებლად მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისიები.

მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონების საღამოს (ცვლის) მუ-

ში და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები ძირითადად კვალიფიციური პედაგოგიური კადრებითაა დაკომპლექტებული. მაგრამ ხშირად გვხვდება ამ სკოლაში შეთავსებით მომუშავე მასწავლებლები. მაგ. სარეკის მუშა ახალგაზრდობის სკოლის 12 მასწავლებლიდან 11 შეთავსებით მუშაობს. მერჯევის მუშა ახალგაზრდობის 11 მასწავლებლიდან კი 9 შემთავსებელია და ა. შ. საქმის საზიანოდ მოქმედებს აგრეთვე მასწავლებელთა შორის საათების დაქუცმაცება. მაიაკოვსკის რაიონის ობჩის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის 15 მასწავლებლიდან 1—6 საათიანი სასწავლო დატვირთვა აქვს 7-ს და ა. შ.

სკოლებში ცალკეული დისციპლინების სწავლების მიმდინარეობისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის შესწავლა შემდეგ სურათს იძლევა.

## ქართული ენა და ლიტერატურა

მასწავლებლები ი. კოტორეიშვილი, დ. ღიბრაძე (მაიაკოვსკის რაიონის წითელხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) და შ. ბარათაშვილი (დაბა საჩხერის მუშა ახალგაზრდობის სკოლა) დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ქართულ ენასა და ლიტერატურას. ისინი გულდასმით ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ზრუნავენ თავიანთი პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნებისათვის. მასალის გადაცემისას ითვალისწინებენ საღამოს სკოლის მოსწავლეთა შემადგენლობას, მათ ინტერესებს, რის გამოც დადებით შედეგებსაც აღწევენ: მოსწავლეებმა იციან მხატვრული ნაწარმოების შინაარსი, ერკვევიან მოქმედ პირთა ხასიათის თვისებებში, თხზულების იდეურ-მხატვრულ მხარეში, იჩენენ ქართული ენის გრამატიკის კურსში შესწავლილი თეორიული მასალის პრაქტიკულად გამოყენების უნარს და სხვ.

მაგრამ შესწავლილ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში ადგილი აქვს მეტად სერიოზულ, ზოგჯერ პირდაპირ მიუტევებელ ნაკლოვანებებს.

საჩხერის რაიონის მერჯევის მუშა ახალგაზრდობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი პ. ქავთარაძე არ იცნობს ამ საგნების პროგრამებს. იგი საქმისადმი სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს: მიმდინარე სასწავლო წელს VIII კლასში, თუ საკლასო ჟურნალის ჩანაწერებს დავუჯერებთ, მას დაუმუშავებია (თანმიმდევრობა დაცულია) მასალები: „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, „ალ. ყაზბეგის ბიოგრაფია“, „ალ. ყაზბეგი—მწყემსი“,

„ეგ. ნინოშვილის ბიოგრაფია“, „ალ. ყაზბეგის ბიოგრაფიული ცნობები“?!, „ხევისბერი გოჩა“. 11 დეკემბერს აუხსნია ს. შანშიაშვილის ლექსი „დედისერთა ლენინთან“... VIII კლასის პროგრამა არ ითვალისწინებს არც „ვეფხისა და მოყმის“ შესახებ ხალხური ლექსის და არც ს. შანშიაშვილის ლექსის სწავლებას. გარდა ამისა, მეთოდიკურად ხომ ყოვლად გაუმართლებელია ერთი მწერლის ბიოგრაფიული ცნობებისა და ნაწარმოების შესწავლის დაწყება, შემდეგ მეორე მწერლის შესწავლა, ბოლოს ისევ პირველისათვის დაბრუნება და ა. შ. ესეც არ იყოს, რა გამართლება აქვს ამ შემთხვევაში პროგრამით მოცემული თანმიმდევრობის (ალ. ყაზბეგი, ვაჟა ფშაველა, ეგ. ნინოშვილი...) შეცვლას?...

ასევე უგულებელყოფილი აღმოჩნდა ქართული ლიტერატურის პროგრამა VII კლასშიც: (17 დეკემბერს გაკვეთილის თემა იყო „აკ. წერეთლის ჩემი თავგადასავალი“ (?!) და ეს მაშინ, როცა VII კლასში თემა „აკ. წერეთელი“ სასწავლო წლის ბოლოს ისწავლება, და მეორეც, ისწავლება პოეტის ბიოგრაფიული ცნობები, „თორნიკე ერისთავი“ და არა „ჩემი თავგადასავალი“.

გაკვეთილების ცხრილში საგნები „ქართული ენა“ და „ლიტერატურა“ შეტანილია სახელწოდებით „ქართული“. მასწავლებელს 4-დან 23 სექტემბრამდე არ ჩაუტარებია ქართული ენის გაკვეთილი (საკლასო ჟურნალში მასალები მხოლოდ ლიტერატურიდან არის შეტანილი), სამაგიეროდ მომდევნო კვირაში სულ გრამატიკის გაკვეთილები ჰქონია, შემდეგ კვლავ ლიტერატურისა, სხვა დროს, როგორც წესი, ერთიც და მეორეც და ა. შ.

რაც შეეხება ლიტერატურის გაკვეთილებს, რომლებიც მასწავლებელმა პ. ქავთარაძემ ჩაატარა VII და VIII კლასებში, ისინი ჩვენთვის სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა: VIII კლასში მოსწავლეებმა ჯერ „ეპილოგი“ გადმოსცეს „ტარიელ გოლუადან“, შემდეგ მასწავლებელი ესაუბრა მოსწავლეებს ილ. ჭავჭავაძის შესახებ, გაამეორებინა „სურამის ციხე“, „ხევისბერი გოჩა“, ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფია (?!) ასე წარიმართა გაკვეთილი VII კლასშიც.

მასწავლებელმა განაცხადა, რომ მას ახალი, 1963 წლის გამოცემული პროგრამები არ ჰქონდა და გასული, 1962 წლის პროგრამებით ასწავლიდა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, იგი არცერთი პროგრამით არ ხელმძღვანელობდა.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მასწავლებელს პედაგოგიური მუშაობის 35 წლის სტაჟი და უმაღლესი სპეციალური, თუმცა დაუმთავრებელი განათლება აქვს, მაინც ვერ ართ-

მევს თავს მასზე მინდობილ საქმეს. მან არ იცის რა ასწავლოს და როგორ ასწავლოს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ იმავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სხვა მასწავლებლები კ. ქემერტელაძე და მ. ვეშაპიძე. ისინი ვერ ერკვევიან სასწავლო პროგრამებში.

მასწავლებელი მ. ვეშაპიძე IX კლასში ასწავლის ქართულ ლიტერატურას გასული, 1962 წლის პროგრამით. ამ კლასში მას დაუმუშავებია თემები—„საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება XIX საუკუნის დასაწყისიდან 40 იან წლებამდე. „ალ. ჭავჭავაძე", „გრ. ორბელიანი", „ნ. ბარათაშვილი". ეს თემები სასწავლო წლის ბოლოს ისწავლება. ამჟამად მასწავლებელს მოუხდება საპროგრამო მასალის სწავლება თავიდან —ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლიდან დაიწყოს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ზ. ლომიძე (ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა), დ. ბურჯანაძე (ობჩის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა), თ. ვაშაკიძე და ვ. აბრამიშვილი (სარეკის მუშა ახალგაზრდობის სკოლა). ისინი არ მუშაობენ საკუთარ თავზე, არ იმაღლებენ კვალიფიკაციას, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ სასწავლო პროგრამებზე, სახელმძღვანელოებზე, სუსტად ემზადებიან გაკვეთილებისათვის, რის გამო დაბალ დონეზეა დაყენებული ამ საგნების სწავლება.

აღნიშნული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა დიდი მუშაობა უნდა ჩაატარონ სასწავლო წლის მეორე ნახევარში მათ მიერ დაშვებული შეცდომების, ამ საგნების სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლების მიზნით.

## რუსული ენა და ლიტერატურა

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები—ბ. შარაბიძე (წითელხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა), ი. ბარშოვი (მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), ლ. ხვედელიძე, მ. კუსიანი (საჩხერის მუშა ახალგაზრდობის სკოლა) და ი. იაკობიძე (საჩხერის რაიონის მერჯევის მუშა ახალგაზრდობის სკოლა). მასწავლებელი ი. ბარშოვი კარგად გადასცემს ახალ მასალას, იწვევს ინტერესს მოსწავლეებში, წარმატებით აღწევს ახალახსნილი მასალის განმტკიცებას და მათ მიერ გაკვეთილზევე მის შესწავლას.

სუსტად ასწავლის რუსულ ენას ობჩის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელი გ. გურული; იგი თვითონ სუსტად ფლობს რუსულ სალიტერატურო ენას და საჭიროებს სისტემატურ, გულმოდგინე მუშაობას მის დასაუფლებლად. მასწავლებელი შეუმჩნევლად ტოვებს მოსწავლეთა მეტყველებაში დაშვებულ უამრავ შეცდომას, ან გასწორების შემთხვევაში თვითონვე უშვებს შეცდომებს. იგი ამბობს: „не любил военная служба“ „В. военную службу поступил“ და სხვ. ამის გამო, ბუნებრივია, ძალზე დაბალია მოსწავლეთა მომზადებაც.

ნაკლოვანებებით ხასიათდება, აგრეთვე, საჯის მუშა ახალგაზრდობის სკოლის რუსული ენისა ლიტერატურის მასწავლებლის ს. პეტრიაშვილის მუშაობა. მან თვითონ ცუდად იცის რუსული ენა. მეტყველების დროს უშვებს ენობრივი ხასიათის მრავალ შეცდომას: „что они будут зделать“, „Посвятить родину“ და სხვ. კიდევ მეტი: მასწავლებელი ტექსტსაც შეცდომით კითხულობს: „Послани в сибири“. „Николай первого“, “Сухница“ და სხვ. ამიტომ არის, რომ ს. პეტრიაშვილი ვერ ახერხებს ზეპირ და წერით მეტყველებაში მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას. ყოველივე ამის გამო მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული მასალები.

მსგავსი ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე მუშაობა ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ს. კორძაძისა, რომელსაც ახალი, 1963 წელს გამოცემული სასწავლო პროგრამაც კი არ აღმოაჩნდა. VI კლასის მოსწავლეები აბსოლუტურ უცოდინარობას ამჟღავნებენ, ზოგმა მათგანმა ანბანის ზოგი ასოც კი არ იცის კარგად და რაღა შეიძლება ითქვას მათ მიერ გრამატიკის საკითხების ცოდნაზე, წერისა და კითხვის ჩვევებზე (!..)

აღნიშნული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ აღნიშნული ხარვეზებისა და მათ მუშაობაში არსებულ სხვა, მსგავს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

## მათემატიკა

თავიანთი ენერგიული მუშაობით გამოირჩევიან მათემატიკის მასწავლებლები კ. ქამუშაძე, შ. ბინიაშვილი (საჩხერის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), ტ. გრძელიძე (წითელხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) და გ. არწივიძე (მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდო-

ბის სკოლა). ისინი მომზადებულად ატარებენ გაკვეთილებს, სათანადო ადგილს უთმობენ თვალსაჩინოებას, მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, ზეპირ და ნახევარწერით მეცადინეობას. მასწავლებლები აღწევენ მათემატიკის შესწავლით მოსწავლეთა დაინტერესებას, გაკვეთილზე მათ აქტივობას.

მაგრამ მთელ რიგ სკოლებში მათემატიკის სწავლება ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებით.

ვანის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის XI კლასის (მასწავლებელი ლ. ბელთაძე) მოსწავლეებმა არადამაკმაყოფილებლად იციან ალგებრაში შესწავლილი მასალები. მათ მექანიკურად აქვთ გაზეპირებული მოქმედებათა შესრულების წესები კომპლექსურ რიცხვებზე და მაგალითების ამოხსნისას უშვებენ უხეშ შეცდომებს. შემოწმების დღისათვის X—XI კლასებში მასწავლებელს არც ერთი საკონტროლო წერა არ ჰქონდა ჩატარებული ალგებრაში და გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში.

მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის სკოლის XI კლასის (მასწავლებელი ჯ. ადამია) მოსწავლეებმა ვერ გააკეთეს ტოლგვერდა სამკუთხედის გვერდის გარშემო ბრუნვით მიღებული სხეულის ნახაზი. მასწავლებელი არ იყენებს თვალსაჩინოებას, უგულებელყოფს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას. მასწავლებელ ჯ. ადამიას მათემატიკაში I მეოთხედში აქვს 100%-იანი აკადემიური მოსწრება XI კლასში, მაგრამ ეს მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასების შედეგია: მოსწავლეებს გ. ე.-ს, თ. კ.-ს და ნ. ნ.-ს მათემატიკაში ორჯერ უწერიათ და ორივეჯერ არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიუღიათ, მეოთხედის ბოლოს კი დამაკმაყოფილებლადაა შეფასებული: სამ მოსწავლეს კი—ტ. მ.-ს, ი. ჯ.-ს და კ. თ.-ს არც ერთი საკონტროლო წერა არ შეუსრულებიათ, მაგრამ შეფასებად მაინც „3“ აქვთ მიღებული.

ობჩის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის VII კლასის (მასწავლებელი შ. ღვალაძე) მოსწავლეებმა სუსტად იციან მოქმედებანი ალგებრულ წილადებზე: ისინი მექანიკურად იწერენ დაფიდან ამოხსნილ სავარჯიშოებს. მასწავლებელი უგულებელყოფს მათემატიკაში ზეპირ და ნახევარწერით სავარჯიშოებს.

## ქიმია

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქიმიის მასწავლებლები: ვ. ენდელაძე (მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის სკოლა), ნ. კაშია (ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) და მ. ბებერაშვილი (საჩხე-

რის მუშა ახალგაზრდობის სკოლა). ისინი გულმოდგინედ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, მოფიქრებულად სვამენ კითხვებს კლასის წინაშე და მოითხოვენ სრულ, გააზრებულ პასუხს, ყურადღებით ასწორებენ მასალის თხრობისას მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს, ახალ მასალას ხსნიან გასაგებად, იყენებენ თვალსაჩინოებას და ატარებენ სადემონსტრაციო ცდებს.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ქიმიის სწავლების საქმეში შეიმჩნევა მთელი რიგი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლის ამ საგანს საჩხერის რაიონის მერჯევის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელი ს. აბუთიძე. იგი არ იცნობს პროგრამას, არ ემზადება გაკვეთილებისათვის, მოუფიქრებლად სვამს კითხვებს კლასის წინაშე, არ ითვალისწინებს საღამოს სკოლის მუშაობის სპეციფიკას, ნაკლებ დროს უთმობს ახალი მასალის ახსნას და მის განმტკიცებას, ვერ ამჩნევს მასალის თხრობისას მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს; მოსწავლე ამბობს: ვერცხლი V ჯგუფის ელემენტია, ბორი კი მეტალიაო. მასწავლებელი ს. აბუთიძე თვითონაც უშვებს შეცდომებს. ახალი მასალის ახსნისას პერიოდულ სისტემაში ტუტე მეტალებიდან აჩვენა მხოლოდ ლითიუმი, ნატრიუმი და კალიუმი. მან მცდარად ახსნა აღნიშნული მეტალების ატომის აგებულება. მასწავლებლის განმარტებით, ატომგულის გარშემო ელექტრონებთან ერთად ელექტრონულ შრეებზე პროტონებიც ბრუნავს. იონი ნიშნავს ქაოსს, ლითიუმის ჟანგი იხსნება წყალში და წარმოიქმნება ლითიუმის ერთფუძიანი ჰიდროჟანგი. მწვავე ტუტე მეტალებია ლითიუმი, ნატრიუმი და კალიუმი—აცხადებს მასწავლებელი. გაკვეთილზე არასწორად იქნა განმარტებული ჟანგეულებიც.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ხასიათდება წითელხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ქიმიის მასწავლებლის ნ. გიორგაძის მუშაობაც. მასწავლებელს აქვს ახალი 1963/64 სასწავლო პროგრამა, მაგრამ ვერ გაუგია იგი. ამის გამო X კლასში აზოტისა და ფოსფორის ნაცვლად უსწავლებია მეტალები—კალციუმი და ალუმინი; XI კლასში ავოგადროს კანონის, ორგანულ ნივთიერებათა ნაცვლად ჩაუტარებია ერთი გაკვეთილი ორგანულ ნივთიერებებზე, შემდეგ კი—ნახშირბადი და სილიციუმი... ასეთივე მდგომარეობაა VIII კლასშიც, ახალი მასალის ახსნისას მასწავლებელი არასწორად აშუქებს ზოგ საკითხს: მაგალითად, X კლასში მან ისეთი განმარტება მისცა მოსწავლეებს, თითქოს ატომგულები შეიცავდეს ელექტრონებს. იგი ვერ ახერხებს მოსწავლეებში ქიმიის შესწავლისადმი

ინტერესის გაღვიძებას. მოსწავლეები პასიურად სხედან გაკვეთილზე და მასწავლებელი იძულებულია თვითონვე უპასუხოს კლასის წინაშე დასმულ კითხვებზე. VIII კლასის მოსწავლეებმა არ იციან ქიმიური ელემენტების ნიშნები, ვერ ერკვევიან ნაერთთა ძირითადი კლასის ქიმიურ თვისებებში, ვალენტობაში, ვერ წერენ ქიმიურ ფორმულებს და ტოლობებს.

სასწავლო წლის II ნახევარში ზემოაღნიშნულმა ქიმიის მასწავლებლებმა ბეჯითი მუშაობა უნდა ჩაატარონ მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

### ბ ი ო ლ ო გ ი ა

განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული ბიოლოგიის სწავლება: აქ საქმე ეხება არა მარტო ცალკეული გაკვეთილების დაბალ ხარისხს, არამედ მოქმედი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უგულებელყოფას. მერჯევის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში (მასწავლებელი ს. აბუთიძე) „ზოოლოგიის" ნაცვლად „ბოტანიკა" ისწავლება, VII კლასში—ადამიანის „ანატომია-ფიზიოლოგიის" მაგივრად—„ზოოლოგია", IX კლასში კი „ზოგადი ბიოლოგია" „დარვინიზმის საფუძვლებით" არის შეცვლილი. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის სკოლაში (მასწავლებელი მ. ბასილაძე), ოღონდ აქ IX კლასში, როგორც წესი, „ზოგად ბიოლოგიას" სწავლობენ, მაგრამ ახლის ნაცვლად, ძველი პროგრამით და სახელმძღვანელოთი.

მერჯევის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელი ს. აბუთიძე „ზოოლოგიასაც" არადამაკმაყოფილებლად ასწავლის: იგი მასალას ზეპირსიტყვიერად, ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე ხსნის, თემიდან სრულიად არ ეხება ზოგ მნიშვნელოვან საკითხებსაც კი. ახალი მასალა „ზოოლოგიაში" მან 5 წუთში გადასცა (!..).

მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი მ. ბასილაძე არასაკმაოდ ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. იგი ხშირად ერევა მოსწავლის პასუხში, მაგრამ ვერ ამჩნევს მის მიერ დაშვებულ შეცდომებს. მასწავლებელი მცირე დროს უთმობს ახალი მასალის ახსნასა და განმტკიცებას. მან IX კლასში თემის „მიჩურინული მიმართულება მეცხოველეობაში" გადაცემისას მკრთალად გააშუქა აკად. მ. თ. ივანოვის მეთოდები. სრულიად არაფერი უთქვამს მსხვილფეხა პირუტყვის კოსტრომული ჯიშის გამოყვანის შესახებ, რაც აღნიშნული თემის მნიშვნელოვა-

ნი, განუყოფელი ნაწილია. ყოველივე ამის გამო, დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ბიოლოგიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისტორია

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ისტორიას ვ. იოსებაშვილი (წითელხევის სოფლის ახალგაზრდობის სკოლა) და ნ. სოფრომაძე (მაიაკოვსკის მუშა ახალგაზრდობის სკოლა). ამის გამო მოსწავლეთა მომზადების დონეც სათანადო სიმაღლეზე დგას.

მიუხედავად ამისა, შესწავლილ სკოლებში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სწავლებაც, მოსწავლე ახალგაზრდებს ხშირად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებზე, ვერ ერკვევიან მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსში.

ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ე. სოსელია) არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოავლინეს საზოგადოებათმცოდნეობაში. მოსწავლეებმა ვერ შესძლეს წინა მასალის „საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის" გადმოცემა. ამ გარემოებამ აიძულა მასწავლებელი თვითონ მოეთხრო კლასისათვის იგი. მიუხედავად ამისა, ახალი მასალა—„ისტორიული აუცილებლობა და ადამიანთა მოღვაწეობა" მასწავლებელმა მაინც ახსნა.

## გეოგრაფია

დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე გეოგრაფიაში ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VI–VII კლასებში (მასწავლებელი ლ. ნადარეიშვილი) VII კლასის მოსწავლეებმა რუკაზე ვერ აჩვენეს უკრაინის სსრ, მათ განაცხადეს, რომ „უკრაინა სსრ კავშირის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობსო". არცერთმა მოსწავლემ არ იცოდა, რომელ წელს რა ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით შევიდა ყირიმის ასსრ უკრაინის შემადგენლობაში. განვლილი მასალიდან მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირზე და შორეულ აღმოსავლეთზე. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი VI კლასში.

გეოგრაფიაში მოსწავლეთა არადამაკმაყოფილებელი მომზადების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ამ საგნის სწავლება წარმოებს მშრალად, ზეპირსიტყვიერად: ნაკლები ყურადღება

ექცევა სახელმძღვანელოებით, კონტურული რუკებით, ატლასებით და სხვ. მოსწავლეთა უზრუნველყოფას, არ ტარდება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული, მოსწავლეთა დამაინტერესებელი პრაქტიკული ვარჯიშობანი.

* *
*

აღნიშნული სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში გამოვლინებული ზემოხსენებული და სხვა მსგავსი ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმითაც, რომ სკოლების ხელმძღვანელები არასაკმაო დახმარებას, ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებენ მასწავლებელთა მუშაობაზე. სკოლების დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების მიერ ცალკეული საგნების მასწავლებელთა გაკვეთილების მოსმენა შემთხვევით, ეპიზოდურ ხასიათს ატარებს, მათი ანალიზები კი ნაჩქარევად, საგნის სწავლებაზე სრული წარმოდგენის გარეშე იწერება და არ იძლევა არსებული მდგომარეობის გარკვეულ, ნათელ სურათს. ვანის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის დირექტორს (მ. გოგოძე) მოსმენილი აქვს მხოლოდ ერთი გაკვეთილი, სარეკისას (ნასარიძე) კი არც ერთი.

დღემდე მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებებიც (ამხ. ამხ. ვ. გიორგობიანი და გ. სადუნიშვილი) ვერ ახორციელებენ ქმედით კონტროლსა და ხელმძღვანელობას ამ ტიპის სკოლების მუშაობაზე. სკოლებამდე არ აღწევს განათლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მთელი რიგი სახელმძღვანელო დოკუმენტები (დებულებები, ინსტრუქციები, ბრძანებები) მიმდინარე სასწავლო წლის 1-ლ ნახევარში საჩხერის განათლების განყოფილებამ შეისწავლა ამ სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მაგრამ ზოგი არსებითი ხასიათის ნაკლი ან შეუმჩნეველი დარჩა, ან დაუყოვნებლივ არ გადაიდგა ნაბიჯები ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

მაიაკოვსკის რაიონის განათლების განყოფილებამ სასწავლო წლის 1-ლ ნახევარში გაითვალისწინა ამ სკოლების მუშაობის შესწავლა, მაგრამ შეიზღუდა თავი მათში მხოლოდ მოსწავლეთა ჩარიცხვისა და კონტინგენტის შენარჩუნების მდგომარეობის ვიწროდ განსაზღვრული საკითხების შემოწმებით.

განათლების სამინისტროს ბრიგადის მასალები, მიღებული

ალნიშნული სკოლების მუშაობის შესწავლის შედეგად, ფართოდ გა-ეცნო თითოეულ მასწავლებელს, სკოლების პედაგოგიურ საბჭოებს და ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს.

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი **ს. დვალი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 16 იანვრის ბრძანება № 38

### 1962/1963 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ 1962/1963 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩარიცხულ იქნა ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში—667, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში—407, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში—35, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში—92, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში—127, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში—66 აბიტურიენტი და ა. შ. კარგი მომზადება გამოამჟღავნეს აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის, ტყიბულის, წყალტუბოს, მახარაძის, გორის, თელავისა და ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის ცალკეული საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებმა.

მიუხედავად ამისა, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებმა გამოცდებმა გვიჩვენეს, რომ ზოგიერთი სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე და მასწავლებელი არ მუშაობენ დამაკმაყოფილებლად. ფორმალურად ეკიდებიან თავიანთი მოვალეობის შესრულებას, არ წარმართავენ მოსწავლეთა შორის მუშაობას იმგვარად, რომ გამოუმუშაონ მათ ცოდნის შეძენისადმი სიყვარული. აგრეთვე გამოცდებმა დაადასტურეს ისიც, რომ სკოლების ერთ ნაწილში ადგილი აქვს მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში ლიბერალიზმს, მასწავლებლების მიერ ნიშნების ხელოვნურად აწევის შემთხვევებს, რაც აქვეითებს მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობას მტკიცე და საფუძვლიანი ცოდნის შეძენისადმი.

1962/1963 სასწავლო წელს კურსდამთავრებულთაგან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტში: ქართულ ლიტერატურაში (წერა, ზეპირი)—696-დან 69, მათემატიკაში (წერა, ზეპირი)—796-დან 123, ფიზიკაში—311-დან—50, ქიმიაში—171-დან—49, რუსულ ენასა და ლიტერატურაში—239-დან—11, უცხო ენაში—665-დან—51, ისტორიაში—239-დან—33 აბიტურიენტმა; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში: ქიმიაში—270-დან—45, ფიზიკაში—225-დან—34, უცხო ენაში—191-დან—12, ქართულ ლიტერატურაში (წერა)—179-დან—1, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: მათემატიკაში (წერა)—862-დან—262, მათემატიკაში (ზეპირი)—843-დან—96, ფიზიკაში—747-დან—79, ქიმიაში—380-დან—137 აბიტურიენტმა და სხვ.

მისაღებ გამოცდებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში კურსდამთავრებულთა ერთმა ნაწილმა არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნა. აშკარად შეინიშნება ქართულ ლიტერატურაში მხატვრულ ნაწარმოებთა შინაარსის ზერელე ცოდნა. კურსდამთავრებულთა წერითი ნამუშევრებიდან ჩანს, რომ ბევრ მათგანს არ შესწევს უნარი მოახდინოს ლიტერატურული ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული ანალიზი, უშვებენ უხეშ სტილისტურ, მორფოლოგიურ, პუნქტუაციურ და სხვა სახის შეცდომებს. ჯერ კიდევ ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ „შპარგალკის" გამოყენებისა, რის შედეგადაც ისინი დამოუკიდებლად აღარ მუშაობენ და თემების გადაწერით კმაყოფილდებიან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის წერითი გამოცდებიდან „შპარგალკის" გამოყენებისათვის მოიხსნა 150-მდე აბიტურიენტი, აქედან 1962/1963 სასწავლო წლის 6 კურსდამთავრებული: ჯ. მახარაძე (თბილისის მე-60 საშუალო სკოლა, დირექტორი ლ. მელაძე, მასწავლებელი თ. ბაინდურაშვილი), დ. აფხაზავა (ლანჩხუთის რაიონი, ნიგვზიანის საშუალო სკოლა, დირექტორი ლ. მოისწრაფიშვილი, მასწავლებელი ი. ჯიჯეიშვილი), მ. მურადოვა (ბოლნისის საშუალო სკოლა, დირექტორი შ. ბაკურაძე, მასწავლებელი მ. ბირაშვილი) ლ. ვაშაკიძე (სამტრედიის რაიონი, დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ყუფარაძე, მასწავლებელი ქ. ნუცუბიძე), ვ. გოლიაძე (მახარაძის რაიონი, ლიხაურის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. გობრონიძე, მასწავლებელი თ. გორდელაძე) გ. გოგრიჭიანი (ამბროლაურის რაიონი, ღების საშუალო სკოლა, დირექტორი ს. გავაშელიშვილი, მასწავლებელი ქ. გავაშელიშვილი).

განსაკუთრებით დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქართულ

ლიტერატურაში ოქროს მედალოსანმა ვ. მანიამ (გეგეჭკორის რაიონი, დიდი ჭყონის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ჯანჯღავა, მასწავლებელი ა. გაგუა) და ამ საგანში საშუალო განათლების ატესტატში ნიშანი „5"-ისა და „4"-ის მქონე კურსდამთავრებულებმა: ჯ. მერაბიშვილმა (სიღნაღის რაიონი, არხილოს კალოს საშუალო სკოლა, დირექტორი მ. ბიდიაშვილი, მასწავლებელი ო. მამუკაშვილი), ნ. ორჯონიკიძემ (ქ. გორის მე-9 საშუალო სკოლა, დირექტორი გ. თავაძე, მასწავლებელი მ. რატიშვილი), ლ. ტეტუნაშვილმა (გორის რაიონი, ტირძნისის საშუალო სკოლა, დირექტორი ო. კიკვილაშვილი, მასწავლებელი შ. ზერეკიძე), ა. ყოჩაშვილმა (გურჯაანის რაიონი, ჩუმლაყის საშუალო სკოლა, დირექტორი ი. ქიტოშვილი, მასწავლებელი ლ. დოლარიძე), მ. ბათენაშვილმა (გარდაბნის რაიონი, მარტყოფის საშუალო სკოლა, დირექტორი შ. რაზმაძე, მასწავლებელი გ. კალაძე), თ. ვაშაკიძემ (თბილისის 65-ე საშუალო სკოლა, დირექტორი დ. კუბლაშვილი, მასწავლებელი თ. ქეთილაძე), ლ. კაკაბაძემ (თბილისის 35-ე საშუალო სკოლა, დირექტორი შ. დავითაია, მასწავლებელი ა. ალავიძე).

სუსტი მომზადება გამოამჟღავნა რუსულ ენაში ოქროს მედალოსანმა დ. კადჟაევამ (ხაშურის რაიონი, გუჯარეთის საშუალო სკოლა, დირექტორი ხ. პლიევი, მასწავლებელი ა. მადუდინა).

ძალზე დაბალი მომზადება გამოიჩინეს უცხო ენაში ოქროს მედალოსანმა გ. კარაპეტიანმა (ახალქალაქის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. კარაპეტიანი, მასწავლებელი რ. ჩობანიანი); ვერცხლის მედალოსანმა ა. ღავთაძემ (ახალციხის რაიონი, აწყურის საშუალო სკოლა, დირექტორი კ. ბუაძე, მასწავლებელი ი. კაჭკაჭიშვილი); აგრეთვე ამ საგანში ფრიადოსანმა და კარგოსანმა კურსდამთავრებულებმა: მ. მოსიანცმა (დმანისის საშუალო სკოლა, დირექტორი მ. თაბაგარი, მასწავლებელი ე. მატარაძე), ი. ჭოტაშვილმა (სიღნაღის რაიონი, ბოდბისხევის საშუალო სკოლა, დირექტორი თ. კოჭლამაზაშვილი, მასწავლებელი ვ. ყაჯრიშვილი), ე. გეგელაშვილმა (გარდაბნის რაიონი, დიღმის საშუალო სკოლა დირექტორი ვ. სონღულაშვილი, მასწავლებელი ც. ტოპეშაშვილი), ნ. თოხაძემ (ლანჩხუთის რაიონი, აცანის საშუალო სკოლა, დირექტორი შ. ქინელაძე, მასწავლებელი ვ. თოხაძე), ნ. ლუხოშვილმა (ყვარლის რაიონი, ჭიკაანის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ბეჟანიშვილი, მასწავლებელი ლ. ტონია), ზ. კვაჭანტირაძემ (ცხაკაიას 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. ჭანტურია, მასწავლებელი ნ. ადამია), ნ. ბენიძემ (თელავის რაიონი, კურდღელაურის საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. მუმლაური, მასწავლებელი ნ. ღონია-

შვილი), ა. ტეფნაძემ (საჩხერის რაიონი, არგვეთის საშუალო სკოლა, დირექტორი თ. იაშვილი, მასწავლებელი ვ. კიპაროიძე), [illegible]ლოხიშვილმა (დუშეთის რაიონი, ქსოვრისის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. გოგია, მასწავლებელი ა. კილაძე), ნ. მაზმიშვილმა (ახალციხის რაიონი, ასპინძის საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. დიასამიძე, მასწავლებელი გ. კეჭაყმაძე), ლ. პეტრიაშვილმა (დუშეთის რაიონი, მუხრანის საშუალო სკოლა, დირექტორი მ. ავანიშვილი, მასწავლებელი ლ. გვარამია), ი. კაპანაძემ (ხაშურის რაიონი, ავლევის საშუალო სკოლა, დირექტორი დ. გიკაშვილი, მასწავლებელი ნ. ხუციშვილი), ც. ჭუმბურიძემ და ნ. იობაშვილმა (ყვარლის რაიონი, ლელიანის საშუალო სკოლა, დირექტორი ქ. სხირტლაძე, მასწავლებელი ი. ელიაშვილი), ნ. ობოლაძემ (ყვარლის რაიონი, ყარსუბნის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ლობჟანიძე, მასწავლებელი თ. ჭუმბურიძე), ნ. გზირიშვილმა, (კასპის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ელისაბედაშვილი, მასწავლებელი ნ. ფარემუზაშვილი), ე. ოქრუაშვილმა (დუშეთის რაიონი, ძეგვის საშუალო სკოლა, დირექტორი ლ. როსტიაშვილი, მასწავლებელი ზ. როსტიაშვილი).

მათემატიკაში გამოცდაზე აბიტურიენტთა ერთმა ნაწილმა ელემენტარული საკითხების უცოდინარობა გამოამჟღავნა—ვერ შესძლო ამოცანის პირობის მიხედვით განტოლების შედგენა. მაგალითების ამოხსნისას ვერ მოახერხა ალგებრულ და ტრიგონომეტრიულ გამოსახულებათა გამარტივება. მათემატიკაში მოსწავლეთა მომზადების ასეთი დაბალი დონის მიზეზია ის, რომ მასწავლებლები ნაკლებად ავარჯიშებენ მოსწავლეებს მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნაზე.

მეტად დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს მათემატიკაში ოქროს მედალოსნებმა ვ. ქოქოევამ (ცხინვალის II საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. პლიევი, მასწავლებელი პ. მაკაევი), გ. გველესიანმა (ზესტაფონის რაიონი, შროშის საშუალო სკოლა, დირექტორი ქ. გუგუციძე, მასწავლებელი ი. გაჩეჩილაძე), ნ. მახარაძემ (ლანჩხუთის რაიონი, ვანზომლეთის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. გოგუაძე, მასწავლებელი მ. თავაძე), ი. გულუამ (ცხაკაიას რაიონი, ხაბუმეს საშუალო სკოლა, დირექტორი ბ. ჩალიგავა, მასწავლებელი ქ. ვახანია); ვერცხლის მედალოსნებმა: მ. არახამიამ (გეგეჭკორის რაიონი, დიდი ჭყონის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ჯანჯღავა, მასწავლებელი ა. მანია), ი. ხაინდრავამ (გეგეჭკორის რაიონი, ლეხაინდრაოს საშუალო სკოლა, დირექტორი ს. ციცხვაია, მასწავლებელი ა. ნაჭყებია), ს. სარიბეკოვმა (თბილისის 43-ე

საშუალო სკოლა, დირექტორი გ. კორსაველი, მასწავლებელი ნ. პირალოვი), ლ. გრიგორიადისმა (თეთრიწყაროს რაიონი, ბეშთეშენის საშუალო სკოლა, დირექტორი დ. გაშიბაზოვი, მასწავლებელი ი. სურონოვი), ნ. ოქროპირიძემ (ბათუმის 1-ლი სკოლა-ინტერნატი, დირექტორი ლ. ცეცხლაძე, მასწავლებელი გ. თოდრია), ბ. ნაზლაიძემ (დუშეთის რაიონი, ფასანაურის საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. ჭავჭანიძე, მასწავლებელი ლ. კვირიკაშვილი), ე. აღდგომელაშვილმა (თეთრიწყაროს რაიონი, ასურეთის საშუალო სკოლა, დირექტორი და მასწავლებელი დ. ბექაური), ლ. მოდებაძემ (ზესტაფონის რაიონი, შროშის საშუალო სკოლა, დირექტორი ქ. გუგუციძე, მასწავლებელი ი. გაჩეჩილაძე), გ. იოსებაშვილმა (თელავის რაიონი, კისისხევის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. მაისურაძე, მასწავლებელი ე. ხუციშვილი).

დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს ფიზიკაში ოქროს მედალოსნებმა: ლ. მგელაძემ (მახარაძის II საშუალო სკოლა, დირექტორი და მასწავლებელი გ. კალანდარიშვილი), თ. ადეიშვილმა (მაიაკოვსკის რაიონი, ყუმურის საშუალო სკოლა, დირექტორი ი. უღრელიძე, მასწავლებელი ვ. რუხაძე), გ. ფილფანმა (მესტიის რაიონი, ლენჯერის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. მარგანია, მასწავლებელი ფ. ფილფანი), ð. კაკაბაძემ (ქ. სამტრედიის II საშუალო სკოლა, დირექტორი ქ. სტურუა, მასწავლებელი ლ. ჭავჭანიძე), ვ. ბულესკირიამ (სოხუმის 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ჯანჯღავა, მასწავლებელი ს. კვარაცხელია), ნ. ბრეგვაძემ (ზესტაფონის რაიონი, ზედა საზანოს საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ჯაფარიძე, მასწავლებელი ჯ. დოლაკიძე), ე. დუიშვილმა (თელავის რაიონი, დუისის საშუალო სკოლა, დირექტორი ზ. ბაჯელიძე, მასწავლებელი ფ. ჭყონია), თ. ჭანტურიამ (ცხაკაიას II საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. გუგუნავა, მასწავლებელი კ. ხვითარია), ლ. გეთიაშვილმა (გურჯაანის რაიონი, სოფ. მახარაძის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. დოლიძე, მასწავლებელი ე. ხუციშვილი), ნ. მელიქოვამ (თეთრიწყაროს რაიონი, ბაშკოვის საშუალო სკოლა, დირექტორი კ. სარიევი მასწავლებელი ა. კირიაკოვი), ლ. ბერსენაძემ (ბათუმის IV საშუალო სკოლა, დირექტორი ზ. მიქელაძე, მასწავლებელი ნ. შეროზია).

ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ფიზიკაში ფრიადოსანმა და კარგოსანმა კურსდამთავრებულებმა: მ. ჟღენტმა (ქუთაისის VII საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ჩოგოვაძე, მასწავლებელი თ. კეზევაძე), წ. მამედოვამ (ბოლნისის რუსული საშუალო სკოლა, დირექტორი ტ. ვიურკოვა, მასწავლებელი ფ. აკიმიდი), ზ

კალმახელიძემ (ქარელის II საშუალო სკოლა, დირექტორი მ. ქალანდაძე, მასწავლებელი ე. ფეჩიშვილი), თ. ჯანიაშვილმა (დუშეთის რაიონი, ფასანაურის საშუალო სკოლა, დირექტორი [illegible]ჭანიძე, მასწავლებელი თ. კობაიძე), გ. ხუჯაძემ (ბორჯომის 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. აბულაძე მასწავლებელი ნ. გოგიჩაიშვილი).

სუსტი მომზადება გამოამჟღავნა ქიმიაში ოქროს მედალოსანმა ნ. მეტრეველმა (ახალქალაქის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. კარაპეტიანი, მასწავლებელი ე. ქართველიშვილი); ვერცხლის მედალოსნებმა: მ. ჯალაღანიამ (ცხაკაიას რაიონი, ახუთის საშუალო სკოლა, დირექტორი და მასწავლებელი ვ. საჯაია), ლ. მარღიშვილმა (ზნაურის რაიონი, ქსუისის საშუალო სკოლა, დირექტორი და მასწავლებელი ვ. ტარიელაშვილი), ი. ხოფერიამ (ცხაკაიას V საშუალო სკოლა, დირექტორი და მასწავლებელი პ. გოგინავა).

ქიმიაში დაბალი ცოდნა გამოიჩინეს ამ საგნის ფრიადოსანმა და კარგოსანმა კურსდამთავრებულებმა: ი. ბექაურმა და თ. ციხელაშვილმა (სიღნაღის რაიონი, ზემო ქედის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. გვრიტიშვილი, მასწავლებელი ც. ლაპიაშვილი), გ. ანთიამ (ზუგდიდის რაიონი, ლიის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ჟვანია, მასწავლებელი ვ. გოგოხია), ნ. ირემაშვილმა (გორის რაიონი, კავთისხევის საშუალო სკოლა, დირექტორი დ. მაჭავარიანი, მასწავლებელი ნ. ნონიკაშვილი), ზ. მანგოშვილმა (თბილისის მე-15 საშუალო სკოლა, დირექტორი ა. მათითაიშვილი, მასწავლებელი გ. ეფიმოვა), გ. ჩიხლაძემ (სამტრედიის რაიონი, გორდის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. რუხაძე, მასწავლებელი ა. გელენიძე), თ. ხურციძემ (მაიაკოვსკის რაიონი, ამაღლების საშუალო სკოლა, დირექტორი რ. ძიგრაშვილი, მასწავლებელი ს. გაბუნია).

ასევე არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ისტორიაში სკოლაში ნიშან „5"-ზე და „4-"ზე შეფასებულმა კურსდამთავრებულებმა: ი. ნიკოლაიშვილმა (მაიაკოვსკის რაიონი, ვანის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ნადირაძე, მასწავლებელი მ. სანიკიძე), ლ. კაპანაძემ (ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი და მასწავლებელი შ. ზედგენიძე), მ. თეთვაძემ (წითელწყაროს საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. ალადაშვილი, მასწავლებელი ი. მენთეშაშვილი) ნ. წიკლაურმა და ლ. ჩუხრუკიძემ (გორის რაიონი, კარალეთის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ხარიბეგაშვილი, მასწავლებელი შ. ნახუცრიშვილი), ო. გვარამაძემ (ახალქალაქის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. კარაპეტიანი, მასწავლებელი გ. ნიქაბაძე), თ. გაბრიელაშვილმა (თელავის რაიონი, ნაფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეულის საშუალო სკოლა, დირექტორი თ. ოთიაშვილი, მასწავლებელი მ. მელქოევი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ცოდნის ასეთი დაბალი დონე იმის შედეგია, რომ დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არადამაკმაყოფილებელ კონტროლს უწევენ მასწავლებელთა მუშაობას და არ იბრძვიან მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებს წინააღმდეგ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოს დადგენილებები მ. იოსებაშვილის, ლ. მოდებაძის, ი. გულუას, ს. სარიბეკოვას, ი. ხაინდრავას, ლ. გრიგორიადისის, მ. არახამიას მედლებით დაჯილდოების შესახებ: ზემოაღნიშნულ კურსდამთავრებულებს მიეცეთ ჩვეულებრივი ნიმუშის საშუალო განათლების ატესტატი. განათლების განყოფილებებმა 1964 წლის I თებერვლამდე უზრუნველყონ აღნიშნულ კურსდამთავრებულთა სახელზე გაცემული ოქროსა და ვერცხლის მედლის ატესტატების დაბრუნება განათლების სამინისტროში და მათ ნაცვლად ჩვეულებრივი სახის ატესტატის გაცემა.

2. მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლისა, მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისა და დაბალი მომზადების მქონე კურსდამთავრებულთა გამოშვებისათვის დირექტორებს: ვ. ჯანჯღავას (გეგეჭკორის რაიონი, დიდი ჭყონის საშუალო სკოლა), ბ. ჩალრგავას (ცხაკაიას რაიონი, ხაბუმეს საშუალო სკოლა), ს. ციცხვაიას (გეგეჭკორის რაიონი, ლეხაინდრაოს საშუალო სკოლა), დ. გამიბაზოვს (თეთრიწყაროს რაიონი, ბეშთეშენის საშუალო სკოლა), ქ. გუგუციძეს (ზესტაფონის რაიონი, შრომის საშუალო სკოლა), გ. მაისურაძეს (თელავის რაიონი, კისისხევის საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

3. საგნის არადამაკმაყოფილებელი სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისათვის მასწავლებლებს: ა. მანიას (გეგეჭკორის რაიონი, დიდი ჭყონის საშუალო სკოლა). ვ. ვახანიას (ცხაკაიას რაიონი, ხაბუმეს საშუალო სკოლა), ა. ნაჭყებიას (გეგეჭკორის რაიონის, ლეხაინდრაოს საშუალო სკოლა), ი. სუხონოვს (თეთრიწყაროს რაიონი, ბეშთეშენის საშუალო სკოლა), ი. გაჩეჩილაძეს (ზესტაფონის რაიონის შრომის საშუალო სკოლა), ვ. ხუციშვილს (თელავის რაიონი, კისისხევის საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების

სამინისტროებმა და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათლების განყოფილებამ შეისწავლონ ამ ბრძანებაში აღნიშნული 1962/1963 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების მიზეზი და დასახონ საჭირო ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) შეისწავლონ ბრძანებაში აღნიშნულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და დასახონ სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) სისტემატურად შეამოწმონ ბრძანებაში მოხსენებულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა, სკოლის დირექტორთა მუშაობა და იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ უზრუნველყოფენ სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას, გაატარონ საჭირო ორგანიზაციული ზომები, რაზედაც აცნობონ განათლების სამინისტროს 1964 წლის პირველ აგვისტომდე.

6. ეს ბრძანება განხილულ იქნეს რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე და დაისახოს საჭირო ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

7. ბრძანების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 27 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 18 იანვრის ბრძანება № 45

### ქ. ქ. ბორჯომის, კასპისა და მარნეულის სამრეწველო ზონის რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ

ქ. ქ. ბორჯომის და კასპის სამრეწველო რაიონში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. ბორჯომის, ვალესა და აბასთუმნის საშუალო სკოლებისათვის აიგო ახალი სასკოლო შენობები: წაღვერის საშუალო სკოლის შენობას დააშენდა 10 საკლასო ოთახი. ქ. ბორჯომის პირველ და მეორე საშუალო სკოლებს მიშენდა რვა-რვა საკლასო ოთახი. ყველა საშუალო და რვაწლიან სკოლასთან მოწყობილია კაბინეტ-ლაბორატორიები და სახელოსნოები. კასპის რაიონში საშეფო ორგანიზაციებმა სკოლებს გადასცეს და მიაშენეს 1316 კვ. მეტრი ფართობის საკლასო ოთახები. კასპის სკოლა-ინტერნატში ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლეთა არსებული კონტინგენტის შესანარჩუნებლად.

მიუხედავად ამისა სკოლების მატერიალური ბაზა მაინც არაა დამაკმაყოფილებელი. მარნეულის რუსულ საშუალო, რუსულ და აზერბაიჯანულ 8 წლიან სკოლებს საკლასო ოთახების სიმცირისა და სივიწროვის გამო არ აქვთ ნორმალური პირობები მეცადინეობის ჩატარებისათვის, კასპის სამრეწველო რაიონის სკოლებში მეორე ცვლაში მეცადინეობს 1043 ბავშვი. ქ. ბორჯომის სკოლებში 5719 მოსწავლიდან მეორე ცვლაში სწავლობს 2336 მოსწავლე. მარტო კასპის მეორე საშუალო სკოლაში 150 ბავშვია ისეთი, რომლებიც გაკვეთილების დამთავრების შემდეგ უზედამხედველოდ რჩებიან იმის გამო, რომ მათი მშობლები მუშაობენ. აუცილებელია გახანგრძლივებული დღის ჯგუფების შექმნა, მაგრამ ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულებას აკლია ქ. ბორჯომის სკოლებში 129, მარნეულის სამრეწველო რაიონის სკოლებში 58 ბავშვი.

სწავლას ჩამოშორდა ქ. ბორჯომის სამრეწველო რაიონის სკოლებიდან 29 ბავშვი, მათ შორის ბორჯომის რუსული საშუალო სკოლიდან—5, ვალეს მესამე საშუალო სკოლიდან—4, ვალეს 8-წლიანი სკოლიდან—5, ვალეს პირველი, წაღვერის და ბაკურიანის საშუალო სკოლებიდან ორ-ორი მოსწავლე და სხვ.

ასევე ჩამოშორდა სწავლას კასპის სამრეწველო რაიონის სკოლებიდან 13 ბავშვი.

განათლების ადგილობრივი ორგანოები არ ატარებენ ეფექტურ ღონისძიებებს მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის. ამით უნდა აიხსნას ის მოუთმენელი ფაქტი, რომ 1963 წლის 5 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე მოსწავლეთა კონტინგენტი შემცირდა მარნეულის რაიონში 83, კასპის რაიონში 59, ქ. ბორჯომში 20 ბავშვით.

დიდია მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რაოდენობა. სასწავლო წლის ბოლოს დატოვებული იქნა იმავე კლასში მარნეულის რაიონში 383, ქ. ბორჯომში 354, კასპის რაიონში 175. მეორეწლიან მოსწავლეთაგან არ სწავლობენ მარნეულში 39, კასპში 34, ბორჯომში—9.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. ბორჯომის, კასპისა და მარნეულის სამრეწველო რაიონების განათლების ორგანოებმა (ბ. მინჯია, ა. ალიევი, ა. ბეჟანიშვილი):

ა) მიიღონ ყველა ზომა, რომ მესამე მეოთხედის დასაწყისშივე უზრუნველყონ სკოლებიდან განთესილი ბავშვების სწავლებაში ჩაბმა;

ბ) მესამე მეოთხედის განმავლობაში შეისწავლონ ყველა სკოლაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების განხორციელების საკითხი და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) ერთი კვირის ვადაში შეამოწმონ 1963 წლის 5 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე სკოლებიდან გასული თვითეული ბავშვის ადგილ-სამყოფელი;

დ) 30 იანვრისათვის წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს ანგარიში მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ;

ე) გადამჭრელი ზომები მიიღონ ამ საკითხზე განათლების სამინისტროს მიერ ადრე მიღებული ღონისძიებების ცხოვრებაში განხორციელების უზრუნველსაყოფად.

2. ქ. კასპის მეორე სკოლის დირექტორმა განათლების ორ-განოსთან ერთად უზრუნველყოს გახანგრძლივებული დღის რეჟი-მის ჯგუფების გახსნა.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 10 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 25 იანვრის ბრძანება № 62

### სკოლამდელ დაწესებულებებში სახელმძღვანელოს „აღზრდის პროგრამა საბავშვო ბაღისათვის“ შემოღებისა და შესწავლის შესახებ

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით „საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა შემდგომი განვითარებისა, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გაერთიანდა ზოგიერთი სკოლამდელი დაწესებულება საბავშვო ბაგა და საბავშვო ბაღი ერთიან სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებად—ბაგა-ბაღად, ამასთან დაკავშირებით 1960 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ დაამტკიცა აღზრდის ახალი პროგრამა. აღნიშნული პროგრამა გამოიცა 1963 წლის ბოლოს.

რესპუბლიკის სკოლამდელი დაწესებულებების მუშაობის პრაქტიკაში ამ პროგრამის შემოღებისა და შესწავლის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 1964 წლის პირველი მარტიდან რესპუბლიკის ყველა სკოლამდელმა დაწესებულებამ (მიუხედავად უწყებრივი კუთვნილებისა) იმუშაოს 1963 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს—„აღზრდის პროგრამა საბავშვო ბაღისათვის“ მიხედვით.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) მ/წლის იანვარში მოაწყოს ორკვირიანი კურსები რაიონისა და ქალაქის სკოლამდელ დაწესებულებათა მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელების გადასამზადებლად, ხოლო შემდეგ თვეებში ამავე დაწესებულებათა ინსპექტორებისა და მეთოდისტებისათვის.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მ/წლის თებერვლის თვეში ჩაატარონ სემი-

ნარები სკოლამდელ დაწესებულებათა მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელთა საშუალებით საბავშვო ბაღის (ბაგა-ბაღის) გამგეების, აღმზრდელებისა და მუსიკის ხელმძღვანელთათვის.

4. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. ფოფხაძე) 10 დღის ვადაში შეიმუშაოს მეთოდური მითითება რუსული სკოლამდელი დაწესებულებისათვის და წარმოადგინოს დასამტკიცებლად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 24 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წ. 30 იანვრის ბრძანება № 76

### მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1963 წლის შედეგებისა და 1964 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

აღვნიშნავ, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის, მისი ფილიალების და განათლების ადგილობრივი ორგანოების ერთობლივი ღონისძიების შედეგად მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების 1963 წლის გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული. გეგმით გათვალისწინებული 5000 მუშაკის ნაცვლად, კურსები გაიარა 5128 მუშაკმა.

1963 წელს ინსტიტუტმა რიგი სიახლენი შეიტანა როგორც მასწავლებელთა დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში, ისე კურსების სახეობაში.

დახელოვნების კურსები გაიარეს სკოლებში ახლად დანიშნულმა დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა, საზოგადოებათმცოდნეობის, ოსური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა, მევენახეობის, მეცხოველეობის, მემინდვრეობის, მეხილეობის, საზეინკლო საქმის მასწავლებლებმა, მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის პედაგოგ-ინსტრუქტორებმა.

სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები მოეწყო რუსთავში, მახარაძეში, სამტრედიაში, ზესტაფონში, ქობულეთში, წითელწყაროსა და მაიაკოვსკში.

რესპუბლიკის სომხური და აზერბაიჯანული სკოლების სხვადასხვა საგნის 87 მასწავლებელი მივლინებული იქნა სომხეთისა და აზერბაიჯანის სსრ განათლების სამინისტროების მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში.

პირველად მოეწყო მოკლევადიანი სემინარები რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებისათვის სწავლა-აღზრდის და სკოლის მართვის აქტუალურ საკითხებზე.

ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლებისა და მასწავლებელთათვის ზოგიერთ სასკოლო დისციპლინაში (ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია) მეცნიერების უახლეს მიღწევათა გაცნობის მიზნით დახელოვნების კურსებზე მოწვეული იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები; ამავე დისციპლინებში დახელოვნების კურსების მსმენელები პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მუშაობას გადიოდნენ უნივერსიტეტის ბაზებზე.

მექანიზაციის, მეხილეობის, მეჩაიეობისა და მემინდვრეობის მასწავლებლებს საცდელ-პრაქტიკული მუშაობა ჩაუტარდათ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საცდელ მეურნეობებში—ანასეულში, ნატახტარში, დიღომში, სკრაში და სხვ. კურსებზე ლექტორ-მასწავლებლებად ძირითადად მოწვეული იყვნენ სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინალური ინსტიტუტების მუშაკები.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო ქ. ქუთაისის, ქ. ზესტაფონისა და ზესტაფონის რაიონის, ქ. საგარეჯოს, ქ. თელავისა და თელავის რაიონის, ახალქალაქის, ზუგდიდის, ყვარლის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, ხაშურისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებები სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დასახელოვნებელი კონტინგენტის აღრიცხვის, შერჩევისა და კურსებზე მივლინების საქმეს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ 1963 წლის საკურსო ღონისძიებათა გეგმების შესრულებაში ადგილი ჰქონდა რიგ ნაკლოვანებებს.

აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის, გეგეჭკორის, თიანეთის, ყაზბეგის, ლენტეხის, გორისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველყვეს თავიანთი განაცხადების მიხედვით კურსებზე მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა მივლინება.

მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. თ. ა. ხახაშვილს:

ა) 1964 წელს მუშაობიდან მოუწყვეტლად, მუშაობიდან მოწყვეტით და ზაფხულის პერიოდში მოწყობილ სხვადასხვა სახის კურსებისა და კურს-სემინარების საშუალებით დაახელოვნოს 5000

მასწავლებელი და განათლების დარგის სხვა მუშაკი თანდართული განრიგის მიხედვით.

ბ) დახელოვნების კურსების სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სალექციო თემატიკების შედგენისას გაითვალისწინოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის ივნისისა და დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შუქზე საგანთა სწავლების საკითხები;

გ) განათლების დარგის ხელმძღვანელ მუშაკთა და მასწავლებელთა დახელოვნებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის საუკეთესო გამოცდილების დანერგვისა და განზოგადების საქმეს;

დ) მიიღოს გადამჭრელი ზომები საკურსო ღონისძიებათა სასწავლო მატერიალური ბაზებისა და მსმენელთა კულტურულ-მასობრივი მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) გეგმიანი ხასიათი მისცენ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა კურსებზე დროულად და დანიშნულებისამებრ მივლინებას, ამასთანავე მიიღონ საჭირო ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჰრიდებენ თავს პედაგოგიური დახელოვნების საქმეს;

ბ) აღმოუჩინონ ქმედითი დახმარება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებს დახელოვნების ღონისძიებათა წარმატებით ჩატარებისათვის; კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე პერიოდულად განიხილონ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკების დახელოვნებასთან დაკავშირებული საკითხები.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ცხინვალის, ბორჯომის, თელავის, დუშეთის, ქობულეთისა და გუდაუთის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს 1964 წლის ივნისსა და ივლისში გამოუყონ საკურსო ღონისძიებათა ჩატარებისათვის შემდეგი სასკოლო შენობები:

ა) ქ. სოხუმში—მე-7, მე-9 და მე-10 საშუალო სკოლები,

ბ) ქ. ბათუმში—პირველი და მე-3 (რუსული) საშუალო სკოლები,

გ) ქ. ქუთაისში—პირველი, მე-2, მე-4 და მე-6 საშუალო სკოლები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ) ქ. თბილისში—31-ე და 37-ე საშუალო სკოლები და მე-4 სკოლა-ინტერნატი,

ე) ქ. ცხინვალში—სკოლა-ინტერნატი,

ვ) ქ. თელავში—პირველი და მე-2 საშუალო სკოლები,

ზ) ქ. ბორჯომში—მე-2 საშუალო და რუსული საშუალო სკოლები,

თ) ქ. ქობულეთში—პირველი საშუალო და რუსული საშუალო სკოლები,

ი) გუდაუთში—მე-2 საშუალო სკოლა,

კ) დუშეთში—სკოლა-ინტერნატი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) შეუფერხებლად დააფინანსოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები ამ ბრძანებით დამტკიცებულ საკურსო ღონისძიებათა გეგმის ფარგლებში.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მომარაგება საკურსო ღონისძიებათა გეგმის შესრულებისათვის საჭირო მაგარი და რბილი ინვენტარით.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას საზაფხულო საკურსო ღონისძიებისათვის გამოყოფილი პუნქტები უზრუნველყონ კვების პროდუქტებით.

7. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ წერილები მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შესახებ.

8. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების კოლეგიებსა და განათლების განყოფილებათა სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და დაისახოს ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მოწყობის გეგმა

## 1964 წელი

| № რიგზე | ვადა / კურსების დასახელება | ჯგ. რაოდენობა | მსმენელთა კონტინგენტი | მოწყვეტით თუ მოუწყვეტლად | კურსების მუშაობის ხანგრძლივობა | საათები: სალექციო | საათები: პრაქტიკული | კურსების მუშაობის ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| | **იანვარი** | | | | | | | |
| 1 | რვაწლიანი სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა | 2 | 50 | მოწყ. | 1 თვე | 104 | 80 | თბილისი |
| 2 | მათემატიკის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 25 | „ | „ | 130 | 40 | „ |
| 3 | საბავშვო ბაღების მეთოდური გაერთიანებათა ხელმძღვანელების . | 1 | 25 | „ | 15 დღე | 78 | 20 | „ |
| 4 | „ (რუსული ჯგ.) | 1 | 25 | „ | „ | 78 | 20 | „ |
| 5 | ფილმოთეკების გამგეების . . . . . | 1 | 25 | „ | 20 დღე | 42 | 160 | „ |
| 6 | ქიმიის მასწავლებელთა აქტივის . . . . . | 2 | 50 | „ | 3 დღე | 14 | 6 | „ |
| 7 | საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა მუდმივმოქმედი სემინარის ხელმძღვანელთა . . | 1 | 25 | „ | „ | 50 | — | „ |
| 8 | დამხმარე სკოლების ლოგოპედების . . . . | 1 | 25 | „ | „ | 23 | — | „ |
| 9 | ქართული სკოლების დაწყ. კლასების მასწავლებელთა . . . . . . . | 1 | 25 | მოუწყ. | 3 თვე | 101 | 106 | „ |
| 10 | რუსული სკოლების დაწყ. კლასების მასწავლებელთა . . . . | 1 | 25 | „ | „ | 104 | 103 | „ |
| 11 | ინგლისური ენის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 25 | „ | „ | 108 | 124 | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | ისტორიის მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | მოუწყ. | 1.5 თვე | 66 | 24 | თბილისი |
| 13 | გახანგრძლივებული დღის სკოლების, კლასებისა და ჯგუფების აღმზრდელ-მასწავლებელთა . | 1 | 25 | „ | 15 დღე | 34 | 18 | „ |
| 14 | სკოლა-ინტერნატის აღმზრდელთა . . . . | 1 | 25 | „ | „ | 34 | 18 | ჩხოროწყუ |
| 15 | რუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . | 1 | 25 | „ | 1 თვე | 134 | 76 | რუსთავი |
| 16 | კინოდემონსტრატორთა (რუსული ჯგუფი) . | 1 | 25 | მოწყ. | 1 თვე | 78 | 140 | სოხუმი |
| 17 | სასკოლო ბიბლიოთეკართა . . . . . . . | 1 | 25 | მოუწყ. | 3 თვე | 100 | 45 | ქუთაისი |
| 18 | საბავშვო ბაღების აღმზრდელთა . . . . | 1 | 25 | „ | „ | 100 | 70 | „ |
| | **თებერვალი** | | | | | | | |
| 1 | მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | მოწყ. | 1 თვე | 130 | 40 | თბილისი |
| 2 | შრომის (ხეზე და ლითონზე) მასწავლებელთა . | 1 | 25 | „ | 1.5 თვე | 85 | 286 | „ |
| 3 | მეცხოველეობის მასწავლებელთა . . . . | 1 | 25 | „ | 1 თვე | 120 | 44 | „ |
| 4 | სასკოლო ინსპექტორების სკოლამდელთა აღზრდის საკითხებში დახელოვნების . . . . . . . | 1 | 25 | „ | 10 დღე | 54 | — | „ |
| 5 | ქალაქის ტიპის საწარმოო სწავლების სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა . . . . | 1 | 25 | „ | 1 თვე | 126 | 38 | „ |
| 6 | გახანგრძლივებული დღის სკოლების, კლასების და ჯგუფების აღმზრდელ მასწავლებელთა | 1 | 25 | მოუწყ. | 15 დღე | 34 | 18 | „ |
| 7 | გერმანული ენის მასწავლებელთა . . . | 1 | 25 | „ | 3 თვე | 108 | 124 | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | ფრანგული ენის მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | მოუწყ. | 3 თვე | 108 | 124 | თბილისი |
| 9 | V—VIII კლასების ხელმძღვანელთა . . . | 2 | 50 | „ | 15 დღე | 40 | 8 | „ |
| 10 | საბავშვო ბაღების მუშაკთა . . . . . | 1 | 25 | „ | 3 თვე | 100 | 70 | რუსთავი |
| 11 | „ (რუსული ჯგუფი) . | 1 | 25 | „ | 3 თვე | 100 | 70 | „ |
| 12 | საბავშვო ბაღების აღმზრდელთა . . . . . | 1 | 25 | მოწყვეტით | 1 თვე | 100 | 70 | ქუთაისი |
| 13 | სასკოლო ბიბლიოთეკარების . . . . . . | 1 | 25 | „ | 1 თვე | 100 | 45 | „ |
| 14 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . | 1 | 25 | მოუწყ. | 3 თვე | 124 | 70 | ზესტაფონი |
| 15 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა (რუსული ჯგ.) . . . . . . | 1 | 25 | „ | 15 დღე | 34 | 18 | ცხინვალი |
| 16 | ქიმიის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . | 1 | 25 | მოწყ. | 1 თვე | 100 | 110 | „ |
| | **მარტი** | | | | | | | |
| 1 | ქიმიის მასწავლებელთა . | 1 | 25 | „ | 1 თვე | 100 | 110 | თბილისი |
| 2 | დაწყებითი კლასების მასწავლებელთა ხელგარჯილობაში დახელოვნების . . . . . | 1 | 25 | „ | 15 დღე | 22 | 140 | „ |
| 3 | საბავშვო ბაღების აღმზრდელთა . . . . | 1 | 25 | „ | 1 თვე | 100 | 70 | „ |
| 4 | სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა . . . | 4 | 100 | „ | 7 დღე | 30 | 28 | „ |
| 5 | შრომის (ხეზე და ლითონზე) მასწავლებელთა (რუს. ჯგ.) . . . . . | 1 | 25 | „ | 1.5 თვე | 85 | 286 | „ |
| 6 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა . . . | 1 | 25 | „ | 15 დღე | 34 | 18 | რუსთავი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ქალაქის ტიპის საწარმოო სწავლებიანი სკოლების საწარმოო სწავლების სასწ. ნაწილის გამგეთა (რუსული ჯგუფი) . . . . . . | 1 | 25 | მოწყ. | 1 თვე | 126 | 38 | სოხუმი |
| 8 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა . . . . | 1 | 25 | მოუწყ. | 15 დღე | 34 | 18 | „ |
| 9 | სოფლის ტიპის საწარმოო სწავლებიანი სკოლების საწარმოო სწავლების სასწავლო ნაწილის გამგეთა . . . . . | 1 | 25 | მოწყვ. | 1 თვე | 126 | 38 | ქუთაისი |
| 10 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა . | 1 | 25 | „ | „ | 126 | 38 | „ |
| 11 | მათემატიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) | 1 | 25 | „ | „ | 130 | 40 | ცხინვალი |
| 12 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების . . . | 1 | 25 | „ | 7 დღე | 30 | 6 | „ |
| 13 | მევენახეობის მასწავლებელთა . . . . | 1 | 25 | „ | 1 თვე | 120 | 44 | ზესტაფონი |
| | **აპრილი** | | | | | | | |
| 1 | მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 25 | „ | 1 თვე | 134 | 76 | თბილისი |
| 2 | ქიმიის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . | 1 | 25 | „ | „ | 100 | 110 | „ |
| 3 | შრომის (ხეზე და ლითონზე) მასწავლებელთა | 1 | 25 | „ | 1.5 თვე | 85 | 286 | „ |
| 4 | საბავშვო ბაღების მუშაკთა . | 1 | 25 | მოუწყ. | 15 დღე | 40 | 8 | ბათუმი |
| 5 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა . . . . | 1 | 25 | მოწყვ. | 1 თვე | 114 | 30 | ქუთაისი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების . . . . . . . | 2 | 50 | მოწყ. | 1 თვე | 126 | 38 | ქუთაისი |
| 7 | „ (რუს. ჯგუფი) . | 1 | 25 | „ | „ | 126 | 38 | სოხუმი |
| 8 | ფიზ. აღზრდის მასწ. (რუს. ჯგ.) | 1 | 25 | „ | „ | 100 | 104 | „ |
| 9 | რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | „ | 7 დღე | 134 | 76 | ცხინვალი |
| 10 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა . . | 1 | 25 | „ | „ | 30 | 6 | „ |
| 11 | დაწყებითი კლასების ხაზით მომუშავე სასწავლო ნაწილის გამგეთა . | 1 | 25 | „ | „ | 30 | 6 | გორი |
| | **მაისი** | | | | | | | |
| 1 | ფიზიკისა და ქიმიის ლაბორანტთა . . . . . | 2 | 50 | „ | 1 თვე | 68 | 160 | თბილისი |
| 2 | კინოდემონსტრატორთა | 2 | 50 | „ | „ | 78 | 140 | „ |
| 3 | მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის პედაგოგ-ინსტრუქტორთა . . . . | 2 | 50 | „ | 20 დღე | 40 | 92 | „ |
| 4 | სტატისტიკოსების . . . | 3 | 75 | „ | 10 დღე | 6 | 48 | „ |
| 5 | ბაგა-ბაღების აღმზრდელთა . . . . . . | 1 | 25 | მოუწყ. | 15 დღე | 40 | 8 | „ |
| 6 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა (რუსული ჯგუფი) . . . . . . | 1 | 25 | მოწყვ. | 1 თვე | 114 | 30 | სოხუმი |
| 7 | შრომის (ხეზე და ლითონზე) მასწავლებელთა . | 1 | 25 | „ | 1.5 თვე | 85 | 286 | ქუთაისი |
| 8 | საბავშვო ბაღების აღმზრდელთა . . . . | 1 | 25 | „ | 1 თვე | 100 | 70 | „ |
| 9 | გახანგრძლივებული დღის სკოლების, კლასებისა და ჯგუფების აღმზრდელ-მასწავლებელთა | 1 | 25 | მოუწყ. | 15 დღე | 34 | 18 | „ |
| 10 | საბავშვო ბაღების აღმზრდელთა (რუსული ჯგ.) | 1 | 25 | „ | „ | 40 | 8 | „ |
| 11 | „ | 1 | 25 | „ | „ | | | ცხინვალი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ივნისი** | | | | | | | |
| 1 | ქართული სკოლის დაწყ. კლასების მასწავლებელთა . . | 2 | 50 | | 1 თვე | 100 | 107 | ბორჯომი |
| 2 | „ „ | 3 | 75 | | „ | 100 | 107 | თელავი |
| 3 | „ „ | 1 | 25 | | „ | 100 | 107 | სოხუმი |
| 4 | „ „ | 5 | 125 | | „ | 100 | 107 | ქუთაისი |
| 5 | რუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . . . | 3 | 75 | | „ | 104 | 103 | თბილისი |
| 6 | „ „ | 1 | 25 | | „ | 104 | 103 | სოხუმი |
| 7 | „ „ | 1 | 25 | | „ | 104 | 103 | ქუთაისი |
| 8 | არარუსული სკოლების დაწყ. კლასების რუსული ენის მასწავლებელთა . . | 1 | 25 | | „ | 112 | 65 | თბილისი |
| 9 | „ „ | 1 | 25 | | „ | 112 | 65 | ქუთაისი |
| 10 | აზერბაიჯანული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . . | 1 | 25 | | „ | 104 | 103 | ბოლნისი |
| 11 | სომხური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | | „ | 104 | 103 | თბილისი |
| 12 | „ „ | 1 | 25 | | „ | 104 | 103 | სოხუმი |
| 13 | აფხაზური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . . . | 1 | 25 | | „ | 107 | 96 | „ |
| 14 | ოსური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | | „ | 107 | 96 | ცხინვალი |
| 15 | ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა . . . . | 1 | 25 | | „ | 110 | 109 | თელავი |
| 16 | „ „ | 1 | 25 | | „ | 110 | 109 | ბორჯომი |
| 17 | „ „ | 2 | 50 | | „ | 110 | 109 | ქუთაისი |
| 18 | „ „ | 2 | 50 | | „ | 127 | 80 | ცხინვალი |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19 | ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა . . . | 3 | 75 | | 1 თვე | 100 | 104 | ბათუმი |
| 20 | „ (რუსული ჯგუფი) | 1 | 25 | | „ | 100 | 104 | „ |
| 21 | ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა . . | 2 | 50 | | „ | 100 | 104 | ქუთაისი |
| 22 | გახანგრძლივებული დღის სკოლების, კლასების და ჯგუფების აღმზრდელ-მასწავლებელთა . | 2 | 50 | | 15 დღე | 60 | 12 | თბილისი |
| 23 | შრომის (ხეზე და ლითონზე) მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . | 1 | 25 | | 1.5 თვე | 85 | 286 | „ |
| 24 | სახარატო საქმის მასწავლებელთა . . | 1 | 25 | | 1 თვე | 126 | 38 | „ |
| 25 | მეავეჯეობის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 25 | | „ | 126 | 38 | „ |
| 26 | მემინდვრეობის მასწავლებელთა . . . . | 1 | 25 | | „ | 120 | 44 | საგურამო |
| 27 | საბავშვო ბაღების გამგეთა . . . . . . . | 1 | 25 | | „ | 100 | 70 | ბორჯომი |
| 28 | კინოდემონსტრატორთა (რუს. ჯგ.) . . | 1 | 25 | | „ | 78 | 140 | სოხუმი |
| 29 | სამკერვალო საქმის მასწავლებელთა . . | 1 | 25 | | „ | 126 | 38 | ქუთაისი |
| 30 | შრომის (ხეზე და ლითონზე) მასწავლებელთა | 1 | 25 | | 1 თვე | 68 | 166 | ბათუმი |
| | **ივლისი** | | | | | | | |
| 1 | ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . . . . | 3 | 75 | | 1 თვე | 124 | 76 | ბორჯომი |
| 2 | „ „ | 4 | 100 | | „ | 124 | 76 | ბათუმი |
| 3 | არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | | „ | 122 | 58 | ბორჯომი |
| 4 | რუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . | 2 | 50 | | „ | 124 | 76 | სოხუმი |



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . . . . | 3 | 75 | | 1 თვე | 124 | 76 | გუდაუთა |
| 6 | „ „ | 3 | 75 | | „ | 124 | 76 | ბათუმი |
| 7 | მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . . . . | 1 | 25 | | „ | 130 | 80 | გუდაუთა |
| 8 | გერმანული ენის მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | | „ | 108 | 124 | ქობულეთი |
| 9 | „ (რუსული ჯგუფი) | 1 | 25 | | „ | 108 | 124 | „ |
| 10 | ინგლისური ენის მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | | „ | 108 | 124 | „ |
| 11 | ფრანგული ენის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 25 | | „ | 108 | 124 | „ |
| 12 | ბიოლოგიის მასწავლებელთა . . . . . | 2 | 50 | | „ | 106 | 100 | „ |
| 13 | „ „ | 2 | 50 | | „ | 106 | 100 | „ |
| 14 | „ (რუს. ჯგუფი) | 1 | 25 | | „ | 106 | 100 | „ |
| 15 | ქიმიის მასწავლებელთა . | 2 | 50 | | „ | 100 | 110 | თბილისი |
| 16 | მათემატიკის მასწავლებელთა . . | 3 | 75 | | „ | 130 | 40 | „ |
| 17 | მათემატიკის მასწავლებელთა . . . . . | 3 | 75 | | „ | 130 | 40 | ქუთაისი |
| 18 | „ (რუსული ჯგუფი) | 1 | 25 | | „ | 130 | 40 | თბილისი |
| 19 | ფიზიკის მასწავლებელთა . . . . . . . . . . | 2 | 50 | | „ | 96 | 124 | თბილისი |
| 20 | „ „ | 2 | 50 | | „ | 96 | 124 | ქუთაისი |
| 21 | „ (რუსული ჯგუფი) | 2 | 50 | | „ | 96 | 124 | სოხუმი |
| 22 | გეოგრაფიის მასწავლებელთა . . . . . | 2 | 50 | | „ | 114 | 56 | ცხინვალი |
| 23 | „ „ | 2 | 50 | | „ | 114 | 56 | ქუთაისი |
| 24 | „ (რუს. ჯგ.) . . | 1 | 25 | | „ | 114 | 56 | ცხინვალი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 25 | ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა . . . . | 2 | 50 | | 1 თვე | 124 | 46 | თელავი |
| 26 | „ „ | 2 | 50 | | „ | 124 | 46 | ქუთაისი |
| 27 | „ (რუსული ჯგ.) . | 1 | 25 | | „ | 124 | 46 | თელავი |
| 28 | ოსური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . . . | 1 | 25 | | „ | 124 | 56 | ცხინვალი |
| 29 | საზეინკლო საქმის მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | | „ | 120 | 44 | თბილისი |
| 30 | სამკერვალო საქმის მასწავლებელთა . . . . | 1 | 25 | | „ | 126 | 38 | „ |
| 31 | მეხილეობის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 25 | | „ | 120 | 44 | ცხინვალი |
| 32 | ხატვა-ხაზვის მასწავლებელთა . . . . . . . | 1 | 25 | | „ | 84 | 138 | თბილისი |
| 33 | დაწყებითი სკოლების გამგეთა . . . . . . . . | 2 | 50 | | „ | 104 | 120 | ბათუმი |
| 34 | „ „ | 2 | 50 | | „ | 104 | 120 | დუშეთი |
| 35 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . . . | 1 | 25 | | „ | 100 | 107 | „ |
| 36 | „ „ | 1 | 25 | | „ | 100 | 107 | ბათუმი |
| | **სექტემბერი** | | | | | | | |
| 1 | სკოლების ახლად დანიშნული დირექტორების . | 1 | 25 | მოწყვ. | 15 დღე | 60 | 12 | თბილისი |
| 2 | შრომის (ხეზე და ლითონზე) მასწავლებელთა | 1 | 25 | „ | 1.5 თვე | 85 | 286 | „ |
| 3 | მეოჯახეობის მასწავლებელთა (რუს. ჯგ. ) . | 1 | 25 | „ | 1 თვე | 64 | 156 | „ |
| 4 | ელექტროტექნიკის მასწავლებელთა . . | 1 | 25 | „ | „ | 100 | 94 | „ |
| 5 | მანქანათმცოდნეობის მასწავლებელთა . . . | 1 | 25 | „ | „ | 116 | 68 | „ |
| 6 | სკოლა-ინტერნატების სასწავლო ნაწილის გამგეთა . . . . . . . | 1 | 25 | „ | „ | 114 | 30 | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | მათემატიკის მასწავლებელთა . . . . | 1 | 25 | მოუწყ. | 3 თვე | 130 | 40 | გორი |
| 8 | მეჩ იეობის მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | მოწყ. | 1 თვე | 120 | 44 | სოხუმი |
| 9 | სოფლის ტიპის საწარმოო-სწავლებიანი სკოლების საწარმოო სწავლების სასწავლო ნაწილის გამგეთა . . . . . | 1 | 25 | „ | „ | 126 | 38 | ქუთაისი |
| 10 | მათემატიკის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 25 | მოუწყ. | 3 თვე | 130 | 40 | „ |
| 11 | საბავშვო ბაღების მუშაკთა . . . . . . . | 1 | 25 | „ | 15 დღე | 40 | 8 | ფოთი |
| 12 | „ (რუს. ჯგ.) . | 1 | 25 | „ | „ | 40 | 8 | „ |
| 13 | ფიზაღზრდის მასწავლებელთა (რუს. ჯგ.) | 1 | 25 | მოწყ. | 1 თვე | 100 | 104 | ცხინვალი |
| | **ოქტომბერი** | | | | | | | |
| 1 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების . . . . . | 2 | 50 | „ | „ | 126 | 38 | თბილისი |
| 2 | სპეციალურ სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა | 1 | 25 | „ | „ | 114 | 30 | „ |
| 3 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 25 | „ | „ | 134 | 76 | „ |
| 4 | მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა | 1 | 25 | „ | „ | 96 | 124 | „ |
| 5 | ბიოლოგიის მასწავლებელთა სასწავლო კინოს საკითხებში დახელოვნების . . . . . . | 1 | 25 | „ | „ | 78 | 140 | „ |
| 6 | მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდური კაბინეტების გამგეებისა და მეთოდისტების სასწავლო კინოს საკითხებში დახელოვნების . . . . . . . | 1 | 25 | მოუწყ. | „ | 78 | 140 | „ |

3-5/138
177961
ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | რუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . | 1 | 25 | მოუწყ | 3 თვე | 134 | 76 | თბილისი |
| 8 | არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | „ | „ | 112 | 58 | „ |
| 9 | მეოჯახეობის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) | 1 | 25 | მოწყ. | 1 თვე | 64 | 156 | სოხუმი |
| 10 | მეოჯახეობის მასწავლებელთა . . . . . . . | 1 | 25 | „ | „ | 64 | 156 | ქუთაისი |
| 11 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა . . | 1 | 25 | „ | „ | 126 | 38 | „ |
| 12 | V—VIII კლასების ხელმძღვანელთა . . . . | 1 | 25 | მოუწყ. | 15 დღე | 40 | 8 | „ |
| 13 | ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . | 1 | 25 | მოწყ. | 1 თვე | 134 | 76 | ცხინვალი |
| | **ნოემბერი** | | | | | | | |
| 1 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა . | 2 | 50 | „ | „ | 126 | 38 | თბილისი |
| 2 | გერმანული ენის მასწავლებელთა . . . | 1 | 25 | „ | „ | 108 | 124 | „ |
| 3 | ინგლისური ენის მასწავლებელთა . . . . | 1 | 25 | „ | „ | 108 | 124 | „ |
| 4 | ფიზიკის მასწავლებელთა სასწავლო კინოს საკითხებში დახელოვნების | 1 | 25 | „ | „ | 78 | 140 | „ |
| 5 | ქართული სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 25 | „ | „ | 134 | 76 | „ |
| 6 | ბუღალტრების . . . . | 1 | 25 | „ | 15 დღე | 36 | 36 | „ |
| 7 | საბავშვო ბაღების აღმზრდელთა (რუსული ჯგ.) | 1 | 25 | „ | 1 თვე | 100 | 70 | სოხუმი |
| 8 | შრომის (ხეზე და ლითონზე) მასწავლებელთა . | 1 | 25 | „ | 1.5 თვე | 85 | 286 | ქუთაისი |